

ლიტერატურული განეთი

№1 (353) 19 იანვარი - 1 თებერვალი 2024

გამოცემის რო კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

მანანა ჩიტიშვილი

რომოც არაგვზე

ბაგე-სურვილით მთვრალი ბადახში,
მოუჭორფლიათ ზეცა ბეღურებს...
მომძებნე, ვიდრე თოვლი გადაშლის
ჩემს ოცნებებს და შენს ნაფეხურებს.

ბინდდება... სულშიც უკვე მწუხრია,
ან კი ვის ინდობს უამი ვერაგი...
ვიდრე უცხოხელს არ შეუხსნია
შვიდგან შეკრული მოვის პერანგი.

ვიდრე ჩადგება თვალში უკუნი
და მზეს იხდენენ ქართლის სერები,
ვიდრემდე მკერდის ორი კუკური
არ გაფურჩენილა სხვის მოფერებით.

როცა იებით ლურჯდება მზვარე,
ცას რომ შელენავს ხმები გალობის,
როგორც არაგვზე ახალი მთვარე,
ტანზე ახალი ლექსი ამომდის.

IV-V

ჯემალ ინჯია

დღეს, მესხეთში
თავფარავნელი ჭაბუკი
ასპინძას ქალსა ყვარობდა.
ხალხური

ეს დღე მახარებს, მესხებო,
ვერ უნდა მძლიოს აკეულმა.
თითქოსდა მტერი მესხებოს,
მეშვიდე ცაზე ავსულვარ.

ნაცნობი ვპოვეტინები
აწყურისა და ხერთვისის,
მტკვარივით მოვედინები
ამ ქვეყნად ერთადერთისთვის.

დღეს მეუბნება მამული,
ნუდარ ხარ დალონებული.
მამულს გვერდს როგორ ავუვლი,
მისით ვარ შთაგონებული.

თქვენთვის კეთილის მსურველი
ვარ, მესხნო, რა მადლობელი,
მინდვრის ყვავილთა სურნელი
რომ მომდევს დამათრობელი.

V

თამარ ულენტი

ნ3031
მზად ვარ, იმის ხალში მივცე
ბუხარა და სამარყანდი.
ჰაფეზი

რომ ვფიქრობ, რამდენ
ჩემსავით ლამაზს
და რამდენ ჩემზე ლამაზს...
დაჭრილობებულ გულზე ლამის
მარილს მაყრი და მაზელ!

მაგრამ რალაცით
მათზე მეტი ვარ,
არ შეიძლება, რომ არ:
ან უფრო მეტად მე მეტაინა,
ან მეტად გავცდი მორალს.


თუ ეს მცდარია,
მაშინ ჩემს იმედს
ჩემს წვრილ ვარსკვლავებს ვათვლი —
ვერც ერთს უნახავ ტანზე იმდენს,
თუ არ გჯერა და — თვალე.

ერთ ხალში ცვლიდა
ჰაფეზი თურმე
ბუხარას... მთელ ხალიფატს!
სადაც კი კოცნას მოისურვებ,
სულ ყველგან რომ ხალი მაქვს?

იცოდა ყველაფრის სიძლიერე —
მიენდე მის ლაზალებს,
მოდი, ცა დამითვალიერე,
თუ გინდა.
არ გაძალებ.

VIII-IX





၁၇၁

ნარმართული მითები მიგვანიშენებს, რომ წარლვნას ტიტან იაპეტოსის ძის — ატლასის ქალიშვილი — ელექტრაც გადაუჩრია. მის შესახებ საუბარია არა მხოლოდ ბერძნულ მითებში, არამედ მხატვრულ ნაწარმოებებშიც — ვერგილიუსის „ენეადასა“ და ოვედიოუსის „მეტამორფოზებში“. თვით ბიძლიაც მიგვანიშნებს, რომ შერეული შეით-კაენური (ტიტანური) მოდგრა წარლვნას მთლიანად არ გაუზადგურებია, სხვაგვარად ბიძლიური წინასწარმეტყველები არ გამოიყენებდნენ წარლვნამდელი გოლიათების აღმნიშვნელ სიტყვებს — ნეფელიმსა და გიბორიმს წარლვნის შემდგომ ნებროთათ მიმართებაში, რომელიც ხელით ახრჩინდა ლომებსა და ვეფუხვებს. ერთ-ერთ წარმართულ მითში წასხვნები ხირამიც (სოლომონ მეფის დიდოსტატი) ვერ ეტყყოდა საბას დედოფალს: ჩემი წინაპარი თუბალ-კაენი გამომეცხადაო. სხვა ლეგენდაში კი საუბარია ვინძე ტიტან „ვულკანზე“, რომელსაც ვითომცდა ქამის ერთ-ერთი ცოლისგან ეყოლდა ვაჟი.

ატლასის ქალიშვილი ელექტრა დანტე ალიგირის „ლვთაებრივ კომედიაშიც“ ფი- გურიობებს, ის ლიმბოშა, ჯოჯოხეთის იმ გარსში, სადაც გამოჩენილი წარმართები თავიანთ ხევდრს ელოდებიან. რდესღაც ისინი ბიბლიურ პატრიარქთა გვერდით იყ- ვნენ, მაგრამ მაცხოვარმა დავით წინასწა- რმეტყველი, აბრაამი, იაკობი და სხვები ჯოჯოხეთიდან ამოიყვანა ჯვარცმისა და აღდგომის შუალედში, როდესაც მართალ- თა სულების გამოსახსნელად იყო შეოლში ჩასული, ხოლო ჰომეროსი, ოვადიუსი, ვე- რგილიუსი, პითაგორა, სოკრატე, პლატო- ნი, ელექტრა და სხვა გამოჩენილი წარ- მართები უფლის განჩინებას ელოდებიან, რომელიც, სავარაუდოდ, მეორედ მოსვლ- ისას უნდა დადგეს. ვის გვერდითაა ლიმბო- ში ელექტრა — ტრიას დამარსებელ დარ- დანოსის დედა? ის თავის შთამომავლებს ჰექტორს, ენეასა და იულიუს კეისართა- ნაა. დიახ, ხმელთაშუაზღვისპირეთში მცხ- ოვრები უამრავი ანტიკური ხანის მეფე- მთავარი ამაყობდა ატლასის ქალიშვილის წინაპრობით, მისმა სახელმა ჩევნენ წელ- თაღრიცხვამდეც მოაღნია. რომის პირვ- ელი იმპერიატორი ოქტავიანე ავგუსტუსი და, მაშასადამე, მისი ნათესავი და წინამო- რბედი იულიუს კეისარიც ტრიოლ ენეასს მიიჩნევდნენ წინაპრად, რომელიც ატლა- სის ქალიშვილის — ელექტრას შტოდან გახლდათ. მაგრამ როგორ გადაურჩა ელე- ქტრა წარლვნას, რომელმაც ტიტანთა (გო- ლიითა) მოდგმა მოთანიანად გაანადგუ- რა? ხოლო თუკი გადარჩა, რატომ არა მის შესახებ საუბარი ბიბლიაში? პასუხი მარტ- ივია, ძეველ აღთქმში არაფერია ნათქვამი სემის, ქამისა და იაფეთის ცოლების შესა- ხებ, რაც არცა გასაკვირი, რადგან ხშირ-

დანტე ალიგიერის „ღვთაებრივ კომედიასა“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაც-ოსანში“ მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი მნათობთა თემას. დანტეს პოემაში ნაწილადაა დაყოფილი და თითოეული მათგანი ვარსკვლავების სხენებით სრულდება, ხოლო შოთას „ვეფხისტყაოსანში“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ავთანდილის აღვლენილ ლოცვას შეიძიო ჰლანეტისადმი. გარდა ამისა, მთავარი გმირების გამოჩენას ხშირად უსწრებს ნინ მზისა და მთვარის სხენება.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, რისი სიმბოლოებია ციური სხეულები და ვის განასახიერებელი ისინი?

თემურ გაბუნია

ՅԱԼՍՔՅԱՅՆԱՑՄՈՒՆԴ ՏԾԱՇԽԱ

ად პატრიარქთა მეუღლეებს, მონებსა და
მონა ქალებს რაოდგნობაშიც კი არ ითვალ-
ისწინებდნენ. მაგალითად, ეგვიპტეში შეს-
ვლის ეპიზოდში ვკითხულობთ — „სულ-
სამოცდათი სული იყო იაკობის საზარდ-
ულიდან გამოსული.“ ბიბლიის კომენტა-
ტორები გვიხსნიან, იაკობის ვაჟების ცო-
ლები, მონები და მონა ქალებიც რომ მი-
ეთვალათ, მაშინ ეგვიპტეში შესულთა რაო-
დენობა რამდენიმე ასეულამდე გაიზრდე-
ბოდაო. ამრიგად, ნინიძა წერილში საუბ-
არია უმთავრესზე. იქ პატრიარქთა ისტო-
რია მოთხოვბილი და არა მათი ცოლები-
სა და მხევლების (იშვიათი გამონაკლისებ-
ის გარდა).

თუმცა, რაგინდ უცნაურიც უნდა იყოს, ბიბლიური ენციკლოპედიისა და ანტიკური ხანის ბერძნები და რომაელ პოეტთა თხზულებების დახმარებით მანც შეგვიძლია გარკვეული ვარაუდები გამოვთქვათ ქამის ცოლის შესახებ, ბიბლიურ ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: „უძველესი იუდეური გადმოცემის მიხედვით, ქამი მიჩნეულია კერპების შემქმნელად, ხოლო ზოგიერთები მას წარმართულ ღვთაება ამონ-თანაც კი აიგივებენ, ეგვიპტელთა ღმერთან“.

ამრიგად, იუდეურ გადმოცემათა ნანი-ლი ქაბს ამონად მიიჩნევს. ვინ იყო ამონის ცოლი? ამონის, იგივე ამონ-რას, მეუღლედ ითვლებოდა მუტი, რომლის კულტიც ეგვ-იპტეში ჯერ ჰათორის (მთვარის ქალღვთა-ება, ქალძროხა) კულტს შეერწყა, შემდეგ კი — იზიდასას.

როგორც დასაწყისშივე აღვნიშნე, წმინ-და წერილში არის გარკვეული მინიშნება, რომ სწორედ ქაბის მოდგმაში აღორძინდ-ნენ ნებროოთის მსგავსი წარღვნისშემდგო-მი გოლიათები (ებრაულად ნეფელიმები და გიბორიმები). ნეფელიმი განადგურებ-ის ძესაც ნიშნავს, გიბორიმი — კი გმირსა და გოლიათს. ეს სიტყვები მხოლოდ წარ-ღვნამდელ გოლიათებსა და ნებროოთთან დაკავშირებითაა ნახმარი, რაც უთუიღ მათ შორის არსებულ ღრმა სულიერ და ფიზიკურ მსგავსებაზე მიგვანიშნებს, შეით-კაენური მოდგმის უმთავრეს ნიშან-თვის სეპაზე.

„გმირი და ოდითგანვე სახელოვანი ხალხი“ იყო ბიბლიური ბუმბერაზები, რომელმაც ქვეყანას განადგურება მოუტანეს. თუმცა ისინი წარლენის შემდგომ კვლავ აღმოჩნდნენ ქუშიტურ, პელაზგურ, ეტრუსკულ და კელტიბერიულ სამყაროში, რომელიც ბევრი რამით ჰგავს წარლენამდელ ტიტანურს. ტიტანურ აიად მოიხსენიება „არგონავტიკაში“ კოლხეთიც, რომელიც პელაზგური და ეტრუსკული სამყაროს ტყუპისცალია, მეტიც, მისტერიული ცოდნის ცენტრიც, სწორედ აქა მიჯაჭვული პრომეთე, ხვამლის მთაზე, მდინარე ფაზისის სათავის სიახლოვეს, ტიტანი, რომელსაც პირველი პერმონელი მეფის შეძქმნელს უწოდებს იაზონი. ის ცოცხალია, არგონავტებს მისი კვეჩესაც კი ესმით. სწორედ პრომეთეს საგმირო საქმეები — ველური ხარის მოთვინიერება, ბუმბერაზთა დამარცხება — უნდა გაიმეოროს იაზონმა, რათა ოქროს სანმისი იგდოს ხელთ. კოლხეთი მატრიარქატის ნიშნებითაც ჰგავს ევროპაში ჩარჩენილ ტყუპისცალებს (პელაზგებს, ეტრუსკებს, კელტ-იბერებს)... ამირანი დარევჯანის ძეა, დარდანოსი — ელექტრასი, ეპაფოსი კი — იოსა. ეს ტრადიცია შეუძლია საუკუნეებამდე შემორჩა კელტ-იბერებით დასახლებულ პირინეებში, სადაც მამაკაცები, თვით ჯვაროსნული ომების ეპოქაშიც კი, დედის სახელით მოიხსენიებოდნენ. პალლონიოს როდოსელის მტკაცებით კი, ძველ კოლხეთში თურმე მხოლოდ ქალებს მარხავდნენ, ხოლო მამაკაცებს ხეებზე ჰკიდებდნენ გამოსახმობად. ეს უნდა ყოფილიყო წარლენამდელ ტიტანიაზი ტრადიციის განახლება. ამით ძველი

კოლხები (ამარანტები) საკუთარ წინაპრებს — ურანოსსა და გაიას (გეას) მიაგებდნენ პატივს. მამაკაცთა გვამებს ცის ღვთაებას უბრუნებდნენ, ქალებს კი — მინისას კოლხური ტრომის უძველესი სახელწიფება — ამარანტაც ქალის სახელიდან უნდა ყოფილიყო ზარმომდგარი, ბერძნები მას ზედართავ სახელ „უქწობთან“ აიგივებდნენ, თუმცა ამარანტა ქართულ ფოლკლორში ამირანმთასთან, ანუ ამირანის მთასთანაც ასოცირდებოდა, ასევე, მდინარე ფაზისთანაც, რომელსაც ამარანტიოსსაც უწოდებდნენ. საგულისხმოა, რომ შივას მეორე ცოლი, რომლის ერთ-ერთი სახელიცაა კალი (ქალი) მთა ამარნატზე მიდის წინასაქორნიზო ასკეზის შესასრულებლად. ქალის კულტი არსებობდა ყველგან სადაც პელაზები და მათი მონათესავე ხალხი სახლობდა. კოლხები ეთავგანებოდნენ ტიტანთა მმოქედვარღვნამდელ ქალღმერთ გაიას; ძველ ინდოეთში მცხოვრები ქალდეველები — კალის, ახურასანგას; ეგვიპტელები — მუტს, ჰათორს, იზიდას. ეგვიპტელებთან იყვნენ დაკავშირებულნი ჰელაზთა დედამთავრები — იო და ელეგტრა ზოგიერთი მკვლევრის, მაგალითად ინგლისელი პოეტისა და რომანისტის — რობერტ გრეეგორის აზრით, იოს მამა ინაქოსიც ტიტან იაპეტოსის ვაჟი იყო, რაც გვაფიქრებინებს, რომ ინაქოსი იგივე ატლასია (აყვანილი მდინარის ღვთაების რანგში). ის ნიმფების (მდინარეთა ღვთაებების) მამადა მოხსენიებული ბერძნულ მითოსამყაროში. ინდუიზმში კალის მამა (პიმალაების მეფე პიმაგანიც) ატლასის მსგავსად მშობელია მდინარის ქალ ღვთაებების რომელთაგანაც უფროსი განგაუა. საზოგადოდ, მრავალსახელიანობა ჩვეულებრივია.

A black and white portrait of a man with a beard and mustache, wearing a traditional cap and a patterned robe, holding an open book.

ლომერთ მუტად შერაცხეს, შემდეგ — ქალძროხა ჰათორად, საბოლოოდ კი — იზიდად. ვინ იყო მუტის მეუღლე? სავარაუდოდ ქამი, რომელიც, ბიძლიური ენციკლოპედიის თანახმად, ეგვიპტეში მზის ღმერთი ამონად (ქამ-ონად) იქცა. თუმცა ოსმეუღლედ რასაც მიიჩნევდნენ, რომელიც ამონზე უფრო ძეველი ღმერთი იყო. ქალძრერთი მუტი (ჰათორი) გახლდათ რას რჩეული, მისი თვალი. მზის ღმერთის ვაჟს უნიდებდა საკუთარ თავს კოლხთა მეუჯ აიეტი. ბერძენი ისტორიკოსი, ისტორიკის მამად წოდებული ჰეროდოტე ძველ კოლხებს ეგვიპტის ფარაონის — რამზეს მეორის (სესოტრისის) კავკასიაში დარჩენილი ლაშერის განაყოფად მიიჩნევდა, პელაზებს კი — იბერიელებად.

იო-ელექტრა, მთვარის ქალღვთახება, თავისი მზეს ეძებდა, მზისა და მთვარის თემა „ვეფხისტყაოსანშიც“ ფიგურირებს. გავიხსენოთ ნესტანის სიტყვები: „შენმან მზემან, უშენოსა არვის მიხვდეს მთვარე შენი“. ელექტრა-იოც ასევე ეძებდა თავის რას, მზის ღვთახებას და, როგორც ჩანს, ბოლოს იპოვა კიდეც. მის შტოში იშვენებოლიათები, გმირები და უფიდესი მხედართმთავრები: ნეპროთი, ჰერაკლე, ენეასი, ჰექტორი, აქილევსი, ალექსანდრე მაკედონელი, იულიუს გაიუს ცეზარი, ოქტავიანე ავგუსტუსი და სხვები... ლათინები ამას აშკარად აღიარებდნენ, ბერძნები კი — მეტ-ნაკლებად. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ელექტრა-იოსგან, მისი მშობლების, წინაპრებისა და შთამომავალთაგან წარმოიშვა ისეთი მნიშვნელოვანი გეოგრაფიული სახელები, როგორიცაა: ბოსფორი (ბეის ფონი), რომელიც იომ კავკასიონან აზიაში გადასვლისას გადალახა), დარდანელი, ატლანტიკის იკემნე, ევროპა (იო + რა), იონიის ზღვა. ელექტრო-იო იყო მრავალი პელაზგი შეფე-მთავრის წინაპარიც, რომელებიც საკუთარ თავს ქამიტებად კი არ მიიჩნევდნენ, არამედ წარლვნამდელი ტიტანების შთამომავლებად.

ରାତିରୀ ରୂପ
ତାଲିକାଟି ରେଣ୍ଡରିଟି

დღი — მთვარის ეპითეტი. ატლას-ინაქოსის ქალიშვილს თავიდან სხვა სახელი უნდა რქმეოდა, თუმცა მოგვიანებით მთვარის ქალღვთაებად — შერაცხეს. იო, ბერძნული მითების თანახმად, ზევსის ცოლმა ჰერამ ქალძროხად აქცია ეჭვიანობის გამო. ქალძროხის სახითაა გამოხატული ძველებეგიპტური ღვთაება მუტი (დიალი დედა), რომელიც, ასევე, მთვარის ქალღვთაებაა და იოსავით მოგვიანებით იზიდად იქცა. ამრიგად, იო და ელექტრა — რას რჩეული (*electus* — ლათინურად რჩეულს ნიშნავს) ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს. ის ტიტან ატლას-ბადრი-ინაქოსის ქალიშვილია, რომელიც ეგვაძტეში ჯერ ქა-

მკვლევრებს მიაჩინიათ, რომ რუსთაველის მთავარი გმირის ინდოელად გამოყვანა შემთხვევითა და რომ ამას არავითარი კავშირი არ აქვს რეალობასთან, თუმცა თუდავუკვირდებით, რაღაც მისტიკურ მსგავსებას აღმოვაჩინთ ინდოეთსა და საქართველოს შორის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ და მხოლოდ სათაურის მიხედვით ვიმსჯელოთ, ერთ უცნაურობას შევნიშნავთ. ვის ემოსა ვეფხვის ტყავი ინდუზმში? — შივას. თუკი შურდული და ქნარი ბიბლიური დავითის ატრიბუტებია, კოლხურ თეთრზე გამოსახული ძულომი და ქალძროხა — ჰათორის (იზიდასი), ვეფხვის ტყავით მოსილი გმირი შივა.



მანანა ჩიტიშვილი

ზაფხული მორჩა

წუხელ ვუსმენდი
სახურავზე წვეთების გამებს,
წვიმის ხმაურს ხომ მუსიკასთან
ბერი ადრიდა...
მამლის ყიყილით შემკრთალი და
დამფრთხალი ღამე
მიიპარება ფეხაკრეფით
ჩემი ფანჯრიდან.

მახსოვს დღეები,
ყვავილებიც, თმებში ჩაწნული,
თვალებში კრთოდა ვარსკვლავების
სხივი რაოდენ...
როგორც ლიბანის კვიპაროსი,
მოდის ქალნული
და მისი მკერდის მიმოტანა
ქუჩას აოგნებს.

ეს ზაფხული კი
უდიმდამო დღეებს მიება
და უსურეილოდ
მეც იმ დღეთა ფერხულს ჩავები...
მხოლოდ ზაფხულის
მხერვალე მზეს ეპატიება
ურცხვი ალერსი
ქალის შიშველ მუხლისთავების.

ვერშეხვედრების დარდიც მახსოვს,
როს დაზაფრული,
გული რომ მტანჯველ მარტოობას
ზეცას შესტირის...
რა უხმაუროდ,
რა ლამაზად მორჩა ზაფხული,
ცაჟე გადავლილ
წეროების მრავალნერტილით.

ვა, სოფელო...

ვის ტაძარი სიტყვის ვუგე,
თურმე შენ ის არ იყავი...
ვითომ ჩემი არ მემაროდა,
სხვათა დარდი გავიყავი.
ძირს იქედნე სისინებდა,
მალლა ყრანტალებდა ყვავი,
ჩემი სველი ნოემბერიც
ველარ მპირდებოდა ყვავილს.
ვა, სოფელო, რად გამხადე
ავთა დროთა სანაყავი,
რად ნამგვარე, ვინც მიყვარდა,
ჩემს მამულში ხიზად მყავი...
რა უშავდა,
მეც რომ სხვათებრ
ლხინის სუფრას ვმჯდარიყავი.

არაგვის კალმახები

ბინდი ედება ქვეიშიან ბარხანს,
აქ ქარიც სხვა ხმით ჰყვება არაკებს...
შენ დარიალთან დამდგომი არ ხარ
და არც თერგის ხმით მოლაპარაკე.

არ გილოკია ტრფობის მარილი,
ძარღვებში ცეცხლად რომ მინანაობს,
გინხავს მანც, თეთრი ქალივით
მთვარე არაგვში როგორ პანაობს.

როგორ ედება ღვთის ცრემლი ბალას,
მთებზე იცრება ვერცხლის არილი
და ვარსკვლავები აყრია კალმას,
ზეციდან მთვარის ჩამოტანილი.

**ნარცერა სულხან-საბა როგორიანის ნიგენი
„სიტყვის კონა“**

სოფლის საქმისაგან უცალო ვიყავ.
სულხან-საბა

იდგა უამი სისხლის წვიმის,
როცა ქმაც კი ავად გმტერობს,
ასე როდის მოიცალე,
შე სულკურთხეულო ბერო.

რა ქვეყნები არ გივლია
ძირშიც მამულისთვის მდვინარს,
მარგალიტი გიყრეფია,
ოქროს ძაფზე აგიკინძავს.

ყველგან სიბრძნით გიელჩია,
რომს, თუ პარიზს, აღმართ-დაღმართ,
იგავებით ერის მწურთნელს
ლექსიც ბევრჯერ გაგიმართავს.

უამმა ავი არ დავრიდა
ქართულ სიტყვის მწეს და მნათეს,
სვეტიცხოვლის დიდ ეზოში
წვერით უპატიოდ ნათრევს.

მაიც არვინ განგიკითხავს,
არც არავინ მოიძულე,
სიჭაბუკით დაწყებული
სიბერეში განასრულე.

რაც კი გვითხარ ბრძნად მეტყველმა,
ყველა მართლად, ყველა ნათლად,
მზრდელი მეფის შეკვეთილი
გახტანგ შეფეშ მოგინათლა.

რა წამალი არ უძებნე
ერის წყლულებს, ოხერ-ტიალს,
ჩევნი ენის სილრმე-განი
ან რა გონმა დაიტია.

აჩუქურთმე სიტყვის დედა
ახალიც და ძევლისძელიც,
ასი კაცის საკეთები
ერთმა როგორ შეიძლო.

სიტყვა შენი, საქმე შენი,
დღესაც ზეობს, დღესაც ქველობს,
აი, დვანლი, აი, ნიგნი,
აი, „უბის საქართველო!“

უამი გვედგა სისხლის წვიმის,
როს მოყვასიც ავად გმტერობს,
ასე როდის მოიცალე,
შე სულკურთხეულო ბერო.

*** * ***
ჩაფრენილი ვარ სტრიქონს,
ვით ერქვნის
და მიმაქვს ხნული
ნრჯელად და ნათლით,
და მძულს სიტყვები,
რომ უნდა გეთქვა,
რომ უნდა გეთქვა,
მაგრამ
რომ არ თქვი.

ვარ გუთნისდედა,
ზოგჯერ ვარ მეხრეც,
დარდო, რა ბევრჯერ
გამიახლდები...
და მძულს ის ქუჩა,
რომ უნდა შემხვდე,
რომ უნდა შემხვდე
და რომ
არ მხვდები.

ნინამურთან

სული ჩემი,
განა სხვისა,
ხან უფლის,
ხან ეშმას მონა...
ერთგულება კრწანისისა
ნინამურმა
გადანონა.

უამი იფქლთან
ღვარძლსაც თესდა,
ავი ცვლიდა
ამოდ მომხდარს...

აქ ილიას
ესროლეს და
გულში
საქართველოს მოხვდა.

*** * ***
ჩვენს გზაზე
ხან თუ ვარდმა იხარა,
ხან გვიპიდებოდა
ბედი უარესს,
გახსოვს ის ქალი,
რომ შეგიყვარა
და იმ სიყვარულს
ვერ მოუარე.

რა უცებ მიწყდა
სულის გალობა,
არსად ფიქრის და
დარდის განმსჯელი...
მოხვედი, როგორც
უფლის წყალობა,
მიღიხარ, როგორც
უფლის სასჯელი.

დედის საფლავთან

რამდენი ცრემლი, რამდენი დარდი,
თვალებში სხივი ბევრჯერ წამგვარეს...
ჯერ ისევ ყვავის საფლავზე ვარდი,
ისევ თბილია შენი სამარე.

ხანდახან მინდა, კვლავ მოგინატრო,
მდურვა ვთქვა ჩემი უწყალო ბედის,
ასე უძალო და უსინათლო
გალმა რანაირ გახვედი, დედი.

მოუწყენია ეზოში ხარდანს,
შორს ალბათ უკვე მწვერვალებს ათოვს...
ან შენ ეულად მანდ როგორ ხარ და
ან ჩევნ რანაირ გაგიშვით მარტო.

მოზაიკური ლეპსი

ეს ცხოვრება — დიდი ტირი,
ნუ იფირებ, შენთვის ვტირი,
არ გეგონოს, კვლავ ხარ დასაფიცარი...
რაც არ მქონდა, რას დავკარგავ,
კილაც მიღებ წმით კართან,
შენ იყავი, სიჩუმეზე გიცანი.

სხვისას ხარ და სხვისი თუ ხარ,
ჩემზე ასე რადღა სწუხარ,
მეშინია, არ გაგინწყეს უფალი...
ცის ბალნარში მოწეული,
ბიბლიური ბრონეული,
იქნებ სულაც ყურძნისა ვარ კუფხალი.

ჩემი შემოდგომის გარდო,
სადაც უნდა დამეკარგო,
მაინც ჩემთვის ინვის შენი სანთელი...
მარტოობით დანასეტყვი,
„მიყვარხარო“ — ისევ შეტყვი,
გამაცოცხლებ ბალაზივით ჩათელილს.

განა წყლული და იარა,
„ჩვენ ორს შეუა გაიარა
ღმერთმა“ —
თურმე გამოთქმაა ასეთი...
არც ბალია და არც „ქვეშა“,
„მიყვარხარო“ — ამას ნიშნავს,
ასე ბრძნობდა
ძველი აღმოსავლეთი.

ვერ დავუცდი ცხენს და ურემს,
უმალ ფეხით მოგამურებ,
დარდი გადამინისავე, ფინალო...
წყაროს წყალზე გავტეხ დოქებს,
მოგივალ და დაგიწოქებ,
შენს მუხლებთან
სიკვდილი რომ ვისნავლო.

* * *

ქესალოს ვერიფე ყაყაჩო,
ფარცხის სოსანი შევეარი,
ვსტუმრობ ერისთავთ ერისთავს,
ბალვაშს თორიალეთ — კლდეკარის.

„უკეთურებას ინურთა“
მტრობით, დალატით, მიპარვით,
ასჯერ „ფაცშემომტკიცული“,
ქვეგამხედავი ლიპარიტ.

ცა ქეხს, თუ მეფე დაგითი
მოქრის ბირთვისის გორებით,

რა ძალის კუდი დარჩება
განუმართ — გაუსწორები.

და როცა მთებს დაეხლება
ვერცხლისფერ სხივთა სიალე,
ალგეთზე მთვარის ტრფიალი
კალმახი შეიფრთხიალებს.

* * *
გაჰყურებ სევდით და შეშფოთებით
წარსულს,
ხან გაკრთობს ქარის გოდება...
აღარც შენ არვის არ ელოდები,
არც შენ არავინ არ გელოდება.

ტანს შემოაცვდა ფლასივით ხორცი,
ფიქრებმა გულის კარი მოკეტეს...
არც საქმე გაქცს და არცა ხარ მოცლით,
არსად მტერი და არსით მოკეთე.

ჭერს ქსოვა-ქსოვით მისდევს ობობა,
/ამგვარი დარდი მათ თუ იციან?!/
სიკვდილი —
სრული მარტოდმყოფობა,
სიბერე — მისი რეპეტიცია.

ისევ შატილში

შემხვდები, არღუნის წყალო,
თვალსევდიანს და ბინდიანს,
ვით სატრფოს თეთრი პერანგი,
შატილს ნისლები ჰქიდია.

ჩამიხვევ გრძელი მელავებით,
მალლით ცა არის უძირო...
გვიმზერენ?
უფრო უკეთესს
ნეტა რას უნდა უცქირონ?!

* * *
გზად ნაშალი კლდის რომ ყრია,
იქვე ტყემლის ტოტი ტოკავს,
სიძულვილი რა ბევრია,
სიყვარული რარიგ ცოტა.

თითქოს გადაფეთქილ ჭერაში
მტრედის გუნდი დასეოდეს,
სიძულვილის უცებ სჯერათ,
სიყვარულის — არასოდეს.

* * *
გაიცრიცება მინდვრების ნარმა,
ზეცა წვიმების დალალს დამინვდის...
ცრემლის სიმწარე არ იცის თვალმა,
სიტყვის სიმწარე ბაგებ არ იცის.

შეიცვლებოდა ბევრი რამ, ჩემო,
დასრულდებოდა ბევრი რამ მინჭივ,
თვალმა რომ ცრემლის იცოდეს გემო,
ბაგებ სიმწარე იცოდეს სიტყვის.

ვიდრენე აქ ვარ

რაც კი ვარ,
შენს ნინ სულ მუხლზე ვდგავარ,
ცეცხლის წვიმებით ბევრჯერ ვიბანე...
ვიდრემდე აქ ვარ და ვიდრე წავალ,
მხოლოდ ერთადერთ რამეს გიბარებ:

ამქვეყნად თუ რამ სიკეთე ვთესე,
ბრძნიც ვიყავ და შლეგი მოხეტეც...
არ შეგაცედრებ ჩემს სულს და ლექსებს,
უფალო, ოლონდ ჩემს ძეს მოხედე.


ცა, ღვთიურ ნათლით გადანამული,
სხვის საოცნებო იქნებ არც არ...
არ დაუკარგო, ოლონდ, მამული,
არ გაუბნიო კერის ნაცარი.

როგორ არ მსურდა, ასე მედარდა,
ვანტრობ, დილის მზემ რომ შემომცინოს...
არ დააფიცო სხვისი დედა და
სხვის სალოცავში არ ალოცინო.

პურს წე მიაწვდი სისხლში აზელილს,
უცხო მსარები არსად გარიყო,
ისე მიჰერებ სარჩო-საზრდელი,
თავის მამულზე უკეთ არ იყოს.

რომ მხოლოდ ვარდთა არ ეგზნოს სურნელს,
ფარქეშ გარუთნე გოდოლთ მეკარედ
და საქართველო, ვით განუურნელ
და მარადიულ სწებად შეპყარე.

ჯემალ ინჯია



ვაპრული „გორი“

ჩემი ადგილის დედაა გორი.
როგორც ალნიშნავს რუეა მას ყველა —
მოქცეულს მტკარსა და ლიახვს შორის —
დღეს მუხლს მოკური უკანასკენლად.

ფითირამბებში ვიცოდი ნორმა,
რა უხდებოდა, ვგრძებოდი, სატკივარს —
გზა დამილოცა ქვეყნისკენ გორმა
და ჩემი ცხენით იმ გზას ვადგივარ.

გორს და გორელებს წიგნი უუძღვენი,
განა თუ ცუდი, განა თუ მქისე.
შიგ ჩემი სისხლი, როგორც ყურძენი
ხის საწნახელში, ჩაგნურე ისე.

ჩეგნი ანბანის ანი და ჰაე
სულ ჩემს სიმრებში დასხმარტალებდა,
გორის ციხეზე ჩასუნთქულ ჰაერს
კი ვიზოგავდი საზღვარგარეთაც.

გორით ვამაყობ, ერთ დროს ალკაში
ახლა საქამოდ მოხუცებული,
ერთ მცირეოდენ „კომუნალკაში“
მეფე ლირივით მოყუჩებული.

შენზე ფიქრებმა ბევრჯერ მომგვარეს
ნალველი, გულიც გამიპეს ორად.
ვემშვიდობები შენს შემოგარენს
სახელდებულო ოდითგან „გორად“.

წაიფორხილებს ჩემი ცხენი ხვალ,
უკვე ანდერი უნდა დავწერო.
გორო, მე შეს არ შემირცხვენიხარ,
ქალაქო, ჩემი აკვნის დამრწევო.

ომ!
ფისო ნაგროზაშვილს

„იქცევა ძველი ჭიქა მორევად“.
ლიუდვიკ აშკენაზი, „ბლუზი ყავის ნალექზე“.

შენ იყავი ის ენამზე
ფისო ნაგროზაანთი,
ლუნლულა და ისე წაზი
ციცასავით ზა-ან-ტი.

სვამდი ძველი ჭიქით ყავას,
ლუდს ქართული სვიათი.
ბომბმ კარტით გიმეოთხავა —
„ომ, გიყვარს ზვიადი!“.

დღეს ბევრი თავს იკატუნებს,
შენ კი ისევ ფისომბ.

რა ლამაზი იყავ თურმე,
როცა გითხრეს ის „ომ!“

ძველი ხიბლი ამჟამადაც
რომ ამშვენებს შენს სახეს,
გამოალე ფინჯარა და
გეტყვი ამის შესახებ.

გარაკონთან

სამებავ დიდო, იყოს დალოცვილ
ეს ბარაკონი — თქვენი იფისი.
დამდგარა ჩემი ლოცვის ტაროსი
ჩემიანების ჯანმრთელობისთვის

და ცისქვეშეთის გადარჩენაზე,
რომ საქართველო არ შემიწუხდეს.
დღევანდელი დღე ჰგავდა შენაძენს
მძიმე დარდების ამშლელ მიმწუხრზე.

შეყვარებული ჩიტი

არ გამიგია, რომ აყოვნებდეს,
ერთ დროს აკითხავს ჩემს ცაცხეს ყოველდღე,
იმის ერთ ტოტზე ზის და რას უსტვენს —
ძლიერ დავაზუსტე.


* * *
დღეს მოვიცალე შუმანისთვის,
დღეს ვუსმენ შუმანს.
დღეს უნდა გავხდე ჰუმანისტი,
ზარგო, ჩუმად!

აღვიქვამ ჰანგთა რეფერენდუმს
სინათლის სვეტად.
ვიწყებ ეთერში ეცრემვერდულ
მომავლის ჭვრეტას.

ბოლმა. ნალველი. არაკაცი.
სადილი. გაქრნენ,
მოვახლოვე კარაკასი
და ლიმა აქ მე.

დღის რეჟიმშაც კი დღენაკლულმა
დამტოვა უმალ.
დღეს მუსიკალურ დელაკრუას —
მევუსმენ შუმანს.

* * *
ეზო მანამ შემოლობე,
სანამ შიგ თავს შემოყოფენ.



გია ხოლებია

ରମାନ୍ତିକ — ସାହଚାର୍ଯ୍ୟ

ეცემოდათ, აბა, რა იქნებოდა, დენთის
სუნი „ბორიაყიდან“, ეპათ კიდევ. მწერალ-
იც ხომ იმ ქართლში იყო დაბადებული, სხ-
ვებთან ერთად მისი წინაპრებიც რომ ამო-
უსუეს. დაბადებული კი არა, ყოველდღე
იქაურ მინაზე დადიოდა, მისხალ-მისხალ
იცნობდა იქაურობას, იმ აჩრდილებსაც
ეხმინებოდა, ცხვრებივით რომ გაირევეს
სასაკლაოზე, გულს უნვავდა მდუმარება-
ნაფარებული ოდნდელი სიცოცხლე, უნ-
ვავდა და არც დაუყოვნებია, არც დარიდე-
ბია ვინმეს — ამოზიდა თანამედროვეს
გვერდით მისივე ადრინდელი ტყუბისცა-
ლი ბორიაყი.


სამრეკლოა ეს რომანი, საწუხარ ამპავ-თა სამრეკლო, საქეყებო ჭირ-ვარამის მაუ-წყებელი. როგორც ჩანს, პირველ ტალღა-ცუნამის უკვე გადაუვლაა, დანაბშირებულ და დარბეულ სასახლეებში მხოლოდ ქალები და ბავშვები არიან შეყუული, ნარსული დიდებით რომ არიან დაპურებული და საცაა ესც შემორცლებათ. მხოლოდ იტრიაში და მის სიახლოეს აქა-იქ შემორჩენილან კაცები, ზოგიერთს არც განათლება აკლია, არც პოლიტიკური პროცესების შეფასების უნარი, მრომბობენ კიდეც, ფუს-ფუსებენ, მაგრამ ნინამძღოლის მოლოდ-ინში ათენ-აღამებენ, ერთ გუნდად ვერ შეე-

რულან, გერ შეკონინებულან, თითქოს ვა-
ჟაცობაც არ აკლიათ, იარაღისკენაც გა-
ურბით თვალი, მაგრამ ერთობლივი ხმა
გაბზარულია, სიმღერაც რომ წამოეწყოთ,
ნიკუშა ჩაჩანიძე იმ სიმღერას არ ჩაიწერ-
და, ხმაარეული იქნებოდა.

ერთი ახალგაზრდა, არჯვეტელთა ბეჭედის მხოლოდ წინაპართა ციხე-სიმაგრეში იარაღასხმული, ბოლომდე რომ მარტოა და ბოლომდე თავგანინირული. დანარჩენები ასე თუ ისე გადარჩენს გზას ექცენტ, ხალხის წინაშე ძველი დამსახურების იმედით აქვთ, მაგრამ საქმეშე რომ მიღება, არც ბოლშევკიებს სურთ ამის გაგონება და სოფელიც კარმიხურულია ამათვის.

ესაა განნირული თაობა, იმათი შთამო-
მავლობა მთელი საუკუნე თანდათან რომ
შეეგუა რუსეთის უღლესს, თითოც არ გაუნ-
ძრევია, სამშობლო სახელმწიფოდ რომ
ექცია, არადა, ილია ჭავჭავაძის გადარჩე-
ნაც შეიძლებოდა, არჩილ ჯორჯაძის გზი-
თაც მავლობა, სანინამძლოლო კაცები თი-
თო-ოროლა ნამდვილად გვყარდა, მარ-

თლაც თითოეული ერთ სახელმწიფო დოკუმენტის გვეკვეყნის გაცემის დროს დამოუკიდებლობასაც მოვე-
სწარით, მგონი, სამი წელი ვწერდით კონ-
სტიტუციას, რომ გავასრულეთ, რამდენ-
იმე დღეში ახალი შეფერილობის იმპერია
ნამოგვამხეს თავზე. მიუხედავად დაულ-
აგებლობისა სისხლი გავიღეთ, ერთი მუჭა-
საქართველო ებრძოდა იმპერიას, გაქცე-
ულ მთავრობას ბარე ორი აეტორლიალა,
უფრო მეტმა ხმა გავმინდა. იმძლავრა დი-
ქტაციურამ. დააყენა კიდეც ბორიაყი.



ରୀ ଜୁନଦା ଗାୟକେତ୍ରବୀନା କ୍ଷାକ୍ଷୁତ୍ରା ହିନ୍ଦୁଲୁ-
ଯାଶ୍ଵିଳୁଲ୍ଲା ଏବଂ ମିଳି ରାମଦ୍ରୋଣିମ୍ଭ ମେଘଗଂଧାର୍ସା?!

ଅଥ ରନ୍ମାନଶୀ ମେତ୍ରଲାଲାଙ୍କାର ପାଦରୀ ପାଦରୀ ପାଦରୀ
ମଧ୍ୟରୀ, ଏରଟି କ୍ଷାଲିଲୀ, ତ୍ୟାଗିଲାଲୀ, କ୍ଷାମିମ ଲୋକିନ୍-
ଦାର ଶ୍ରୀତ୍ରୈରେଲାଲୀ ମେତ୍ରଲାଲୀଲୀ ଶେଦାଶେଦା-ଶେଲା-
ଲାଫେଦା ଶ୍ଵରିଲୀଲୀ ମେତ୍ରଲାଲୀଲୀ ଫାଶା, ଆପା, ଓତ୍ରି-
ଶେଲେବେଦିଲୀ କାନ୍ଦିଗୁଣଭାଦ ନାସରାଲାଲିତ ଗୋଲି ଗାୟ-
ମାଗର୍ବେଦିଲୀ ଗୁଲ୍ଲାଲୀ, ଗୋଲି ଶେଲିନଦା ମାତ୍ରି ମିଦ୍ରାଳୀ.
ନିନାମଦଲାଲୀ ଶେଲାଫନ୍ଦେନାଳୀ. ଉତ୍ସାହିନିନ ଆର
ଶ୍ଵେତାତ ଗମିରିପ୍ରାଦ ଶାମେତାଉରନ କାପିତ୍ରି?!

କୁମିଳିତିଭିତ୍ରନାଳୀ ଗୋନରଗି ପାନିହାତେଲା ରିଲିଲ
ନିନାମଦଲାଲୀଲୀ ଗାମନମିଶ୍ରିତାନି ପିଯୁଷ, ଶେନ୍ଦ୍ର ଗା-
ମନ୍ଦବ୍ରଥବ୍ରାନ୍ଦା, ଶାକ୍ଷୁତାରି ଜ୍ଞେଯିଲୀ ମେଲିଲ ଶେନିନାଳ
ମିଳାଶାତ. ତ୍ୟମତ୍ରା ଗେ ଆଶାଲାଚିରଦା ଶ୍ଵେତା ଗାନ୍ଧି-
ରାଶିତାର ହାମନ୍ଦେଶ୍ଵରି, ବାଲ୍ମୀକିରା ସମଦ୍ରେଶ୍ଵର-
ଦିଲ ହାନ୍ଦ୍ରୀରା ଜୁନଦା, ମାଲ୍ବାଶେଲେବେଲୀଲୀ ରାମ
ଶୁଶ୍ଲିଦା ଶେଶ୍ଵେର୍ବେଲ ଫ୍ରାନ୍ତ ଆସିଲା ନାଦି-
ଜୀବି ଗାଧାଦିଗମାଳା, ମାଗ୍ରାମ ବୈର ଗାଧାଜୀକ୍ରୂର୍ବେ-
ଦିନା. ମୁଖୀକୁଣ୍ଡିଲାକ୍ଷି ପାଲିତିକୁଣ୍ଡିଲାଇର, ରମ୍ବେ-
ତମ ଓତ୍ରିକେଲୀ ଗୁପ୍ତବ୍ରଦ୍ଧିଦା ନିର୍ମିଶା ହିନ୍ଦାନିନ୍ଦେଶ, ମା-
ଗରାମ ମିଳିଲୀ ସିତ୍ପ୍ରସାତ ବେଳ ଭୁବନ୍ଦିଶ ଦିନାରଜ୍ଜୀବା.

ახლა ლეკო თათაშელს შევხედოთ. ლეკოს მიჰყავს მთელი რომანი. ყველგან მისი ხმა ისმის, მაგრამ დიდი არჯევნელის ყანწს რომ წაეპოტინება და ამოინუმშება ლვინით, წერტილიც დაესმება. მართალია, სიკვდილის ფასად შეძლო, დაეცვა ნიკუშა ჩაჩანიძე, თავის თავზე აიღო ის საბედისწერო რუკა, თითქოს ფერისცვალების ეკლესიაც, ბოლშევიკებმა რომ დასწვეს, საკუთარ ნამოქმედარად გაასაღა. კიდევ შეიძლება სხვანიც გავიხსენოთ, თუმცა ეს ამბები ისე ერთ სისხლის ყივილად წარმოჩნდება, დროდადრო კაიკაცობის ელფერს რომ გიბრუნებს, შეგახსენებს, ვისი გორისა ხარ, ხოლო საერთო სურათით დასაყრდენი პიროვნება ვერ ხდები, ენადქცეულ და გალექსილ მედროვედ რჩები. ლეკო თათაშელის სახით საყოველთაო პარლამენტია წარმოდგენილი — გულზე მჯიდის ბრაგუნი და ბოლოს, არათარი.

კარგად თუ დაუკავირდებით რომანში
დატრიალებულ ამბებს, ერის საუკეთესო
შვილები უკვე ნამსხვერპლია ბოლშევიკუ-
რი დიქტატურისაგან, მეორე წმენდადა დან-
ყებული, დაუზოგავი, განურჩეველი, უფ-
რო გასქელებულია ბორიაყი, რომლისაგან
დახსნას თითქოს ცდილობს გათითოკაცე-
ბული ერი და ბერი.

მწერალი ძირისძირამდე ჩაუყვება თო-
თოეულ სიუჟეტს, დაცალკევებულ დრამე-

ესეც ღირსეული სიკვდილის მაგალითი, მეორეც იქვე რომაა — არჯევნელთა ქალბატონმა ცეცხლმოკიდებულ სასახლეში დაფერფვლა რომა არჩია, აბურჩად აყდებასა და დახვრეტისწინა დამცირებას, კი დევაა მაგალითები, ბექა არჯევნელზე უკვე ვთქვით, ლევოზეც, ლევოც მიხვდა თვითჩამოხრიბის ცოდვის აკიდება სჯობდა, ვიდრე გარენართა ტყვიით შუბლის გახრიამა.

დაბაცა, სამრეკლოა „ბორიაყი“ და არა
სიტყვებით გაძეგვილი ფურცლები. თვა-
ლი არ უნდა მოვაცილოთ არჯევნელთა
ციხიდან მოფრალუ დროშას, ეროვნული
ლირსების მაცნეს. შეიძლება ციხეც დაგი-
ნგრიონ, დროშაც დაიცრიცოს ტყვიებით,
ბევრი რამ წახდეს და განადგურდეს, მა-
გრამ კაცი არ უნდა წახდეს, ადამიანურო-
ბა არ გაუფერულდეს, ვინც უნდა შემოგაი-
ტიოს, ვინც უნდა დაგიპიროს ჩექმით გადა-
ქელვა. თუ ვინგ მოგვშველება, ხომ კარ-
გა, თუ არადა, შენს ბალ-ბოსტანს შენ უნდა
მიხედო, შენ უნდა ისხსა დარტევისგან. ბო-
რიაყით არ უნდა ამოისილო თვალები. იბრძოლება და თუ სიკვდილი გინერია, ისიც
ლირსეული უნდა იყოს...



შრელი კეცელა

სიყვარული ჭუპრივითაა —
იმედის კვერცხით იჩეკება,
სასოწარევეთის მატლი ხდება,
უკანასკნელ სტადაზე პეპლად იქცევა:
არც უფრინდება, არც აფრინდები,
ჭრელად ფარფატებ.

ის კი
(იმ სამ დღეს თუ გიყურა),
ვერაფრით იტყვის,
რომ ძალიან ლამაზი არ ხარ.
და სულ ესაა.
თუმცა როგორლაც
ეს ჭუპრის ჰყოფნის.

მოვარდი

საცხოვრებლად არ ივარგებსო,
ყოველდღიურ ვერ გაუძლებს,
ყოფა ამოჭამს,
გაუშვიო.

ისე მომდლვრავ, თითქოს არ იცი,
რომ ეს ჟავე
ქვესენელნანახი,
ათასწლეულებგამოვლილი
სიყვარულია,
სიტყვას რომ ჩაჲყვა ჯოჯოხეთად:

ეს სიყვარული —
სუდარის მტვერი,
სამკედრო უნდა ყოფილიყო
და დამარხული,
რომ არა თავად შესუდრული —
ვის ნასამსჭვალებ ტერფებსაც აჲყვა,
ზედ აეკრო ეს სიყვარული,
როცა ნიმინდა, ნაგვემი ტანი
საფლავიდან
გეენაში ჩასასვლელად წამოიმართა.

მისი ფეხის მტვერი იყო ეს სიყვარული
ბენელეთის ბჭეთა შეწუსვრისას,
კბილთაღრჭენისას;
იხილა ტანჯვის სისასტიკე,
ცოდვის ტირილი,
ნახა მართალთა მოლოდინი,
ნახა სულთა ხსნა,
ცეცხლოვანმახვილდაშვებული
ანგელოზის დღესასწაული
და სასუფევლის ნეტარება.

მაგრამ არსად დაბნეულა ეს სიყვარული,
არ გაფანტულა,
და მკუდრეთით აღმდგარ ტერფებს
ისევ ქვეყნად ჩამოჰყვა,
აქ, ყოველდღიურ საზრუნავში,
მჭამელ ყოფაში,
რათა ეჭვრიტა,
როგორ შევლის
სიტყვის ერთი გამოცხადება
სასომიხდილს განსაცდელში,
რნემნანაკლულს — მარტობაში.

და იყო ასე, — ღვთის ფეხის მტვრად
ეს სიყვარული,
კუპრისნვიმებგადალახული,
ედემისსურნელშეგრძნებილი,
დაჲყებოდა მტკიცე ნაბიჯებს,
სანამ ისინი
ზეთისხილის მთის წვერს მიადგნენ.

მხოლოდ მაშინდა ჩამოიჩნა
ეს სიყვარული,
ამაღლებულის ტერფებიდან
დაენა მიწას —
ქვეყნის ამ ერთ დიდ, შავ სუდარას,
და გაეხვია მასში, როგორც
ხორბლის მარცვალი,
რომელიც უნდა მოკედეს,
თორემ ცალად დარჩება.
ხოლო თუ მოკედა,
გამოიდებს უამრავ ნაყოფს.

ამ ნაყოფთაგანს ეუბნები,
ვერ გაუძლებ, ყოფა შეგჭამსო?
ამ ნასიკედილარ,
გაცოცხლებულ,
ღმერთშენახებ
საზრდოს აფრთხილებ?

როგორც ზეცაში ამაღლებულს,
სიტყვას, რული
არ ეკიდება,
ისე სიყვარულს — ყოფის მტვერი,
თითქოს არ იც!

ზიზლს ჭირი შეჭამს,
შიშს — შეჩევება,
სიყვარულს — წესი.
ბოლმას სევდა გადაყლაპაგას,
სიხარულს — ფიქრი,
წუხოლს — დაღლა,

სინანულს — სითბო,
შურს — სიბრალული,
იმედს — ნდობა
ან უნდობლობა.

სამაგიეროდ, განბილებას
არაფერი ცვლის,
შენი იმედგაცრუება
ისეთად რჩება,
როგორადაც
გულწრფელობამ გამოძერნა,
სიმართლემ შობა.

ამ გრძნობით იყო,
ღმერთი ღდნავ
ადამიანს რომ დაემსგავსა,
როცა ფოთლებშემოხვეულ
ადამს ეძახდა.

იცი როგორც,
იცი რატომ,
და მაინც უხმობ:
„სად ხარ? სად ხარ?“
იქნებ მანაც დაინახოს,
რა ამაოა.

ეს განბილება არ გაივლის,
ადგილს არ დათმობს,
თუმცა მაინც შეგიძლია,
შენც მიემსგავსო
ღმერთს
და შენი იმედგაცრუების მიუხედავად,
ისევ განაგრძო სიყვარული,
ოლონდ უწესოდ.

ელოიზას ლოცვა აპელარდის გამო

*Domino suo, imo Patri; Conjugi suo, imo Fratri;
Ancilla sua, imo Filia; ipsius Uxor, imo Soror;
Abaelardo Heloisa, &c. Abel. Op.**

ვაითუ, ღმერთო, შენზე მეტად, ის შემიყვარდა...
ხელ-ფეხს ახლავე მოვიყვეთიდი, თვალს დაგითხრიდი,
მაგრამ თუკი ლექსმა მაცდუნა,
რის მოკეთას მთხოვ?
ყოველი ასო ცეცხლში მეწვის.
იმისი სუნთქვა მიკიდია ტანზე ალივით.
მისი ენის სილბოს ამოქაცეს
გველებივით ურუანტელები ყველა ხვრელიდან,
მაშინაც, როცა ცხრა მთისა და ზღვის იქითაა.

რანაირად მოვინანიო?
ამ სიყვარულს აღსარებას ვერ შევუხიზნავ,
თუ ამისგან გავთავისუფლდი,
რით გადავრჩე? რისთვის ვილოცო?
შენს ფრესკებზეც მის სახეს ვხედავ —
მრგვალი ლანვები, თვალწყლიანი და მკაცრი მზერა,
შავი კაკალი თვალის ჭრილს რომ სრულად არ ავსებს
და წამნამების ქვედა რკალთან სითეთრე რჩება...

ვაითუ, ღმერთო, შენზე მეტად იმას მოველი.
ეს როგორ უნდა მომხდარიყო?
ხომ მაშინ ვნახე, როცა შენზე ლაპარაკობდა,
შენ გადიდებდა. და ვიფიქრე,
აი, კაცი,
ღმერთზე ჩემებრ შეყვარებული.
აი, კაცი კაცზე დიდი, უფალზე მცირე.
აი, კაცი ჩემზე ლამაზი,
ჩემზე დიდი, ჩემზე საჭირო.
და მაღლობა შეგწირე, ღმერთო,
მისი ნახვისთვის,
მისი სიტყვის გაგონებისთვის
შენს სიყვარულს რომ მასწავლიდა,
შენს თავს მიხსნიდა.

მერე რა მოხდა? შენი ხატი რომ გადაფარა?
მის ბაგებზე სულ სხვა ცეცხლი როდის შევნიშნე?

ან იქნებ თავად იმთავითვე სხვა ცეცხლი მენთო
და შენ მხოლოდ მოგიმიზეზე,
სინამდვილებში მხოლოდ მასთან ყოფნა მინდოდა,
რადგან ის სხვებზე დიდია და თან შენზე მცირეც.

ვაითუ, ღმერთო შენს სიწმინდეს ვერ გავუძლი,
და განკაცებულ სიტყვის ნაცვლად
შევიყვარ კაცი სიტყვაში.
ლექსმა მაცდუნა, შენ მითხარი,
რა მოვიყვეთო,
თუმცა ამაზე მტანჯველ ცეცხლში რაღა ჩამაგდებს.

იყოს, რაცაა, ამ სიყვარულს ვერ შევინანებ.
და საღლაც მჯერა, რომ ძალიან არც გენწყინება,
არ ხარ ჩემსავით ეჭვიანი, და მესაკუთრე.
ხომ საღაცა ცოდვა გამრავლდეს,
იქ უფროის მაღლი შენი გარდაემატოს?

* ლათ. „თავის უფალს, მამას, ქმარს, ძმას. მისი მხევლისგან, შვილისგან,
ცოლისგან, დისაბა. ულრემსი მოკრძალებით, პატივისცემითა და სიყვარულით
ახელარდის მიმართ ელოიზა ნერს შემდეგა“.

შეივარებული, საზოგადოებრივი

რომ იცოდე, როგორ რცხვენია,
ის საიდუმლო სიხარული,
როცა კარგს ეტყვი.

ღმერთო, როგორ ანითლდება!
გვერდა კენიგით წრიალს იწყებს,
უნდა ყველას ხელი წაუკრას,
გამოადგეს,
ვინმეს რამე მანაც აამოს.
და ამ დროს კიდევ
უფრო არცხვენს
ეს უზნეოდ უზენაესი —
მისი სიამე:

სხვებს რაღა რჩებათ,
თუ კარგს ეტყვი?
ქვეინის ლხენა
სულ მის გულს მიაქვს.
უხერხულია!

კიდევ კარგი, მალევე ტან
და დათუთქული,
საკუთარი ტანჯვის ლირსებით
დამშვიდებულ-გამარჯვებული
თავს მაღლა აწევს:

„აი, აი, შემომხედვე,
როგორ ვცახცახებ,
ის ორი ლერი გალალება
ამის ფასია?“ —
ღმერთს იქით ვალს დებს,
თავს აცოდებს,

იქნებ ერთ ხანს შეარჩინოს
ეს ნეტარი მოწამეობა
უსინდისოდ ფრთაშესხმული
სულელი გულის,
შენი დაკარგვის შიში რომ წვავს
და სირცხვილს არქმევს.

შეყვარებული თვალთმაქცია, —
თავისავე თავს ამსახურებს
(და მადლობა ღმერთი!), —
სხვანაირად, მაგის ცოდვას
რა გაუძლებდა?!

სამომავალი

მთა ჩემი მტერი მეგონა.
რამდენი მთაში წახვედი,
მზისა წილ თრთვილი მერგო და
ვარდის წილ — მუავე ძახველი.

მეგონა, მკაცრი მყინვარი
შენი გულის ცვლას ლამობდა,
ბარში თუ ლამის გიყვარდი,
მთით მიახლებდი სალმობას.

ეჭვები გეჯარებოდნენ:
„წერას რას არგებს სიამე?“
მთის თოვლი მეჯავრებოდა,
ზიარ ის გნადდა, ზიარ — მე.

ზამთარში იქნებ კარგია,
ბუნება თეთრად წარმტაცებს,
ზაფხულს იქ რა დაგვარგვია?
რა თხოვ ნისლიან წარაფებს?

ვერ კი ვტყდებოდი საყვედრად, —
გაბრახდეს! — ხელად მომიკვეთს!
გულს სევდა მივარაყებდა,
სანამდე ხელი მომკიდე,

თქვი: „აყოლილხარ მოწარმახებს,
რა სულ ტყულად იდარდე:
მთიდან ცვარ-ნამად მოჩანხარ,
ახლოს — მშფოთვარე მდინარედ.

წყურვილს ორთავით მოვიკლავ,
ჩემი თავი არ მოგიკვდეს,
როგორც მოვსულვარ, მოვალ კვლავ,
უბის ყვაილებს მოგიკრევ.

მანამ — ახედე მწვერვალებს,
რა თავი ჩაგიკიდია,
არ იცი, ბედის მწერალი
ჩვენს გულისთქმაზეც დიდია“.

მთა ჩემი მტერი მეგონა,
თოვლი — საზარი ვაყიფი,
ორივ მიქციე მეგობრად,
ადრე რო მიწას ვაყრიდი.

გულს საწუხარი მოფლითა —
სწავლა ყოფილა სიამე,

სიამეც სწავლა ყოფილა, —
რაც გნადს, ხვდებოდე იმასვე.

ლურჯი ფრინველი მოფრინდა,
ზიარ შენ გყავდეს, ზიარ — მე.

ღვართის ღიაბილი

შეყვარებულებს შეყვარებულობისთვის
სჭირდებათ მესამე,
გარე პირი — განდობილი,
რომელსაც მოუყვებან ერთმანეთის სიყვარულზე;
ნაჩხუბრობისას ერთმანეთს გალანძღვინდავნი,
ისე იხუმრებენ მსთან ერთმანეთზე,
როგორც უნდათ ხოლმე
ერთად ყოფილისას და ვერ რისკავენ.

მეგობარი, რომელიც შეყვარებულებს სჭირდებათ
კარგი მესიერებისა უნდა იყოს,
და ყველაზე სასოწარმკვეთ სიტუაციებში
ადრინდელი მოსმენილიდან
გამოიხმოს ის შემთხვევები,
ერთ შეყვარებულს
როცა რაღაც ისე წამოცდა
ან მოძრაობა ვერ მოთოვა,
რაც უეჭველი დასტურია,
რომ უყვარს, ხოდა,
უნდა დამშვიდდეს ეს,
მეორე შეყვარებული.

ცხადია,
სიყვარულს ეს ყველაფერი არ სჭირდება,
სიყვარული თუ არის, არის,
სულ არის და არაფრიდან გამომდინარებს,
მაგრამ სრულიად სხვა საქმეა შეყვარებულობა.
ის როდია სიყვარულივით ცეცხლგამძლე
და ყინვამედეგი,
საფრთხე-და-საცდურგაუმტარი —
შეიძლება სულ ერთმა სიტყვაშ
შეყვარებულობა დაასრულოს
და ერთმანეთს დააშოროს
გულმჩატე, ენადასუნდლული შეყვარებულები.

მერე კი მათ
ერთმანეთის მონატრებისას
თავიანთი სიყვარულის ამბავთან ერთად
ახსენდებათ ის მეგობარიც,
ვისაც ამაზე უამბობდნენ.
და თუ კარგად დავაკვირდებით,
სულ ისე ხდება,
რომ ჩვენთან ბოლოს
ან შეყვარებული რჩება ხოლმე,
ან — მეგობარი.

იმისთვის კი, რომ შეყვარებულები დარჩნენ ერთად
და შეყვარებულობა განაგრძონ,
მისწრება მესამე — მსმენელი;
რომ მისთვის გულის გადაშლისას შეყვარებულები
ეთერში გავიდნენ

და როგორც კოსმოსში
პირველ ჯერზე გაფრენილი ასტრონავტები
დაჰყურებენ დედამიწას მშობლის აღერსით
და უნდათ გულში ჩაიხუტონ მთელი პლანეტა,
თან სევდა იპყრობთ,
რომ ამ ლურჯი სიმრგვალის იქით,
მილიარდობით წელიწადი, სხვა გზა არა აქვთ, —

ასე, შეყვარებულებმაც
შორიდან დახედონ თავიანთ სიყვარულს
და გული აუჩიუყდეთ მისი სიცხოველით,
შეძრნუნდნენ მისი მასშტაბებით ამ სამყაროში,
იგრძნონ მისი მოწყვლადობა,
და მიხვდნენ, რომ
ეს მხოლოდ მათი ამბავია ასე ლამაზი,
და იგრძნონ სიხარული,
რომ ამის შესახებ სხვას უთხრეს,
და იგრძნონ სიხარული,
რომ ერთ დღესაც
ამ ყველაფრიდან
სიყვარულიდა დარჩება გულში
და შეყვარებულობა მორჩება.

ხოლო თუკი და როცა
ისე აუტანლად უადგილოა,
ან ისეთი საშენელი
სიყვარულის ამბავი, რომ
არავისათან მოიყოლება,
და არ არსებობს მეგობარი,
ვინც ყურს ათხოვებთ,
იმ ეთერში გამყვან მესამედ
შეყვარებულებს ევლინებათ
ღმერთის ღიმილი —
უკე რომ ყველა მომხდარიც და მოსახდენიც
მოსმენილი აქვს, —

ჩნდება ყველასგან მიტოვებულ
ან ვერავისგან ვერ შეცნობილ შეყვარებულთა
გვერდით
ლექსი — უცნაური მესაიდუმლე.

ის მათ ამბავს მთელ ქვეყანას აგებინებს და
თუ მანამდე არავი იყო,
შეყვარებულთა სათქმელისთვის რომ მოესმინა,
ქვეყანა იწყებს ყურის გდებას,
და თანაგრძობას,
ოღონდ ისე, რომ არც იციან,
ვის უთანაგრძნეს.

ასე გრძელდება მერეც, როცა
მიზეზთა გამო
შეყვარებულები ამთავრებენ შეყვარებულობას,
ან სულაც თვითონ მთავრდებიან.
ამბავი რჩება.

მათ გარდა ერთის
ან მათ გარდა ბევრის ხსოვნაში,
და ეთერში
ღმერთი იღიმის.



ჯემალ ინჯია

გიდასავთ ასეთი ძალაპი?

სიყალბე ტახტებე წამოწოლილი
შემცვდა შორტებით, თან ახალუხით.
იყო თითიდან გამოწოვილი
თემების თოვა და რახარუხი.

ხმაური იდგა, გეგონებოდა,
რომ გაუთხვედა ზეგსს პროზეპინა.
შარმს ვერ იგრძნობდი გოგონებიდან,
ბლუ ბლუყუნებდა ექსპორტს ზეპირად.

იღიმებოდა ყველა ყასიდად,
ხაშის მასალა ეკიდა კეპთან.
მთხლე მოწვეთავდა ღვინის კასრიდან,
ძალი ზრდილობის გულისთვის ყეფდა.

სამხარი

ეჯაჯგურება ქარი ალაყაფს,
მაგრამ მაინც დგას კარი ამაყად.

მნათობი სალამს უთვლის ზედაზენს,
მე ვფიქრობ იმ ქველ გუთისდედაზე.

დალლილი წელს რომ მძიმედ მიათრევს,
ამ დროს მეულე სამხარ მიართმევს

და კაცს ფეხმიმე ცოლის მაცქერალს
აჩვენებს — ბავშვმა როგორ აძგერა.

ჯერ არ იციან — რომელი მოდის —
ია თუ ჯირკვი — ნეზვი თუ ბოტი.

ჩაძუტბუტებს რაღაცს გლეხი,
დოქს მოყვადებს ულვაშის გრეხით...

დაპეროლე, ქარო! მე რაც დავწერე,
შენ მოუყევი ბაბუანგერებს.

შენს აღზევებას ახლიდან
ცა არ დაუშვებს მაღლიდან

და მაინც თუკი ინება
ცამ შენი აღორძინება,
ეს იგივეა, მტარვალო,
ღრმად დამარხულმა მკედარმა რომ
ხელ-ფეხი გაიქნიო და
ამოხტე საიქიოდან.


ცოტა იროვიული

გამასავათა ფიქრმა,
როცა სამოცის გავხდი, —
ვერა და ველარ იქნა,
გამგებელი ვერ გავხდი.

ერთ ქალზე დავთქვი — გაბას
ამას სასწრაფოდ გავხდი,
მაგრამ არამც თუ სწრაფად,
ნელაც ვერაფერს გავხდი.

მას მერე დარდი მდარას,
ხომ ხედავთ, როგორ გაეხდი.
მას, ვინც კახაბერ არ არს,
კახაბერად ვერ გავხდი.

— სოფლიდან, მოკლედ მომწერე,
რაც წამოვედი, რა მოხდა?



— მოგწერ, რისაც ვარ მოწმე მე:
ცოტა ხანი რომ გამოხდა.
ვაცხეთ, დავზინეთ, მოვწელეთ,
დავიწყეთ არყის გამოხდა...

„ცოცხალი“ სტუმრისთვის

ქეევრს გიხდის და მასპინძელი კახელი
აშლილ ნერვებს ცივი ღვინით გინყნარებს.
გულს უქრება მოხოლილი ნაღველი,
როგორც მუშტით გაჭყლეტილ ხახვს სიცხარე.

მუხის კასრი ვარგისია მაგიდად,
ყველს და ბურს აქ ხომ სულ სხვა გემო აქვს.
ღვითის სტუმარო, შენ ინატრე — რა გინდა,
ალაზანი აქ ხახალით შემოაქვთ.

თითქმს

განათლებული კაცი,
თითქოს ყველაფრის მცნობი,
ერთი შეხედვით — მკაცრი,
მეორეთი კი სწობი.

ისე გაგირჩევს, თითქოს
სცნობს ამირანს და ბეთქილს.
ერთი სული მაქვს — ვკითხო:
ბოროტი რად ხარ-მეთქი.

საპორცილო მოგზაურობა

ნავში მოთავსდა მთელი ელიტა
(არ დავიწყნიათ მცირედი სარჩოც) —
ეს დუღცინება ტობოსელი და
დონ კიხოტია (რაინდი), სანჩოც.

ცურავენ მღელვარ გვადალკვიფირში,
რაც ატორტმანებს ბედნავს წეფიონს.
რანდი ტუქავს ქადაგ ვირიშვილს —
დუღცინებას ნუ ეტმასნებიო.

მდინარე ღეღვას ამ თვიდან უკლებს,
გული ერევა ნავში ტობოსელს.
მნუხარე სახის რაინდი უკვე
ცდილობს, გადასვას სამშეიღიბიზე.

სანამ სულია გაიშლეაპოდა

ნინდანინ შევსვი ცივ-ცივი ტვიში,
მან ინგლისური ვისკი დალია.
შევეხმანეთ ერთმანეთს ტვინში —
მე ფიშერი ვარ, ის კი ტალია.

უჭადრაკობის შევებით შიმშილს,

ზეპირად დავცხეთ სამი თალია.


სად გიცოვა, გერიკაცო?

გაგახსენებთ გულმავიწყებს —
მოვიტხე ხელი როცა,
ვანა ბედის კრულვა ვაწყე,
ბიჭს სამმა ხემ შემილოცა.

სერგიეთში მსხალი გვედგა,
ისეთი რომ მსხალს ვყიდიდით.
გორში მე და სარი-პეტკას
გვყოფდა ერთი ცაცხვი დიდი.

პაპა ქიტას დედულეთში
ბაღი ჰერნდა ედემისა.
კომში ედგა, ხვედურეთში
სურნელს გრძნობენ დღემდე მისას.

ხომ მიმაღლებს ცაც ოცნებას,
გულის გულში ვისვამ მხეცებს,
ფლეს ამ ლექსით აცოცებას
ნუ დამიშლით იმ სამ ხეზე.



დაგიუტი

ლუკა თოდუა

საყდართან, შენს გულთან, ატუზული
იკიმენობდა მოხუცი ქარი, კეტით
დამსდევდა. უთქმელი სიტყვა.
ამოგასხი ჩემი გულიდან, ვით
ნაწვიმარი — ღრუბლის ნაოფლი,
აი, მე ამიტომაც დავეხეტები
მანანწალა ქარებთან ერთად —
დახავსებული ჭურჭელი ძველი...

მოჯამაგირე ქარი უხვეტდა ხეებს ეზოებს,
ავტობუსიდან ჩამოდის მთვარე,
ვარსკვლავნი რბოდნენ თიხის ფეხებით,
ცელოფნით ხელში,
საგზლის ნამცეცნი ყვიროდნენ შიგნით,
თითქოს ჩამორჩნენ ძმებს სულის საძლომად,
ლექსის ნატეხი ცვიოდა გარეთ...

გული არ მერჩის,
რომ ის ფიქრები
აქ დავასახლო,
დროს გადავყავდი ღმერთთან
სასტუმროდ,
ღვთისმშობელი გვისხამდა ჩაის...
იქ ლოკვები ამქონდა ბაგით
და ღვთისმშობელი გვისხამდა ჩაის.

სევდა...
დაგიკაკუნებს იმ თხელ ფიცარზე,
ხორცი რომ ჰერნდა,
შემოგიძერება სულის ტუმბოში,
გული რომ გდია და
გამოგიღრძნის გულის პერანგებს...

ხის ტოტზე ჩამომჯდარა სინათლის სხივი,
ოფლგანამული მასში იწვა მოკუნტული
ილაჯი ძველი, ეზიდებოდა დილა მირულურს,
თოკად მოება,
თოკად დაეწვნა სული — სინათლის წვეთინი
და ჩამოპერნდა ბოგანო დილა —
რას ჩამოგასხამ ღია ჭურჭელში?
სიცოცხლეს?
მღვრიე ნარსულში გადასასხმელად...

မနောက်လွှာ

მარიამ წიკლაური

„ერთმანეთის საიდუმლოთა ლოცვანის ფურცლებს ისე ფრთხილად ვშლით, ისე რიდით, თითქოს ვშიშობთ ზედმეტი დილა ანდა ღამე არ გადავშურცლოთ“ — ეს სტ-რიქონები მარიამ ნიკლაურის იმ ლექსიდანაა, რომლის სახელიც დაერქვა კრებულს, ნლის ნიგნადრომ აღიარეს „გალას“ დაჯილდოებაზე. „თეთრი ხბორების“, სხვა ბევრი სადიდო ნიგნის ავტორი და არაერთი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი მარიამ ნიკლაური რამდენიმე თვის ნინ საბავშვო ლიტერატურაში განცემული ღვანლისთვის იაკობ გოგებაშვილის სახელმისის საბავშვო და საყმანვილო ლიტერატურული პრემიითაც დაჯილდოვდა. წლებია, დიდებისა და პატარებისთვის, პოეზიასა თუ პროზაში, ერთნაირად გულში ჩამნედომ ნანარმოებებს ქმნის და მიუხედავად იმისა, რომ უამრავ სხვა, ოჯახურ თუ საზოგადოებრივ საქმესაცაა შეჭიდებული, მაინც ყველაფერი გამოსდის.

მას ისეთი სამყაროების შექმნა შეუძლია, შიგ რომ მოგინდება დასახლება, მყუდრო და საიმედო თავშესაფრებია მისი ყოველი წიგნი, აკი ადამიანსაც მუდამ იქით მიუწევს გული, საითაც სითბო და სიკეთე ეგულება, აი, გადაფურცლავს მარიამის წიგნებს და შინაა!

როგორ ახერხებს ამას მწერალი? ვნახოთ, რას იტყვის.

— ახლაც წერთ? რას? რაზეა?

— զԵՐ, գուա. մոյեցագագ ծԵՎՐՈ ՏԱՐՏՅԱԼՈՍԱ, ՅԵՐ ՏաշԵցՔԵՑՈՏՎՈՍԱԾ, ՀՈՎԵ-
ՑՈՏՎՈՍԱԾ. ԵԿԱՐԱԾ, ՄԵԽՄՈՋ ԴԱ ՄԱՐԵՐԱՅ-
ՑՈՆՋ ՊՈԽՆԱ ԱՐ ՇԵՄՈԴԼՈԱ. մԻՆԴԱ-ԱՐ մԻՆ-
ՃԱ, ՎԵՎԵԼԱՑԵՐՈ ՄՈՎԵՋԵՑՔԸ, ՄԵԵՑԵԱ, ՄԱՆ-
ԵՐՎՈՂԱԼԵՑՔԸ, ԹԵԱՐՋԱՑՏ, ՄՑՈՒՑԱՑ ԱՆ ՑՈՐՈ-
ՋԻՇ, ՏԱԵՄԵԼՈՒ ԴԱ ԵԿԵՐԳՈՒՇ ՄԱԿՏԵՑՔԸ,
ԾՐՈՍ ՄԱՐՏՄԵՅՏ. ցԱՏԱԲՌԱՅԵՑԵՐՈ ՄԱՏՃԱ-
ՑԵՑԸ, ցԱՏԱՅԱՐԵԼՈ ԱՋՄԱՑՐՈՒՄՈՎԱՆԵՑԸ, ՄԱ-
ԲԱՐՏԼՈՋԸ ՏԵՂՄԱՑԲԵՑՄՈՒՋԸ ԴԱ ԱՏԵ... ԵՏ
ՉԵԿՈՎՐԵԴԱ, ԱՐԿՈՒՄ ԻՍԵ ԿՐՄՈՒՐԾԱ՛Ս ՀԵՎ-
ԿԱՆԱՍԱ ԴԱ ՏԱ ՏԱՅՈՂԱԳՈՋԵԲԱՑԻ, ՐՈՄԵԼՈՒ ՄԱ-
ՆԻՇ ՄԵՆԴԱ ԳՈՎԱՐԾԵԳԵ ԸՆԴԱ
ԵՄՏԱԿՐՈՐ... ՐԱՏ ԱԿԵՐԵ ՏԵՂ ՏԵԽ ՏԵԽ ԵՎԵՐԵ-
Տ, ՐԱ ԳԱՄՐԳՈՋՈՍ ԳԱՆՏԵՎԱԳԵՑՑՈՒԼՈԱ ՀՐՏՈՒ-
ԾՐՈՍԱ ԴԱ ԱՐԿ ՏԱ ԻՍԵ ԿԵՏՈՂՄՈՒՇՐԵՆ ԳԱ-
ՐԵՄՈՇԻ, ԵՏ ԿՈՎԵՑ ՎԱԼՈՎԵԱ. ԳՎԱՐԻՔԻՆ-
ԵՐՏԱԴԵՐՏՈ ԱՐԻՔԵՎԱՆՈԱ! տան ԻՍԵ, ՐՈՄ ՄԱՐ-
ՏԱԼՈ ԾԱՐԻԿ ՏԵԽՈՒՏԱՆ, ԾՄԵՐՏՈՒՏԱՆ, ԱՇ-
ԱՄԻՆԵՑՏՈՒՏԱՆ. ՄԵԽԾՈՎԵՏԱՆ ԿՈ ԻՄԾԵՆԱԳ ՀԱ-
ՐՏՈՒԼԵՑՑՈՒԼՈԱ, ԻՄԾԵՆԱԳ ՏԱՏԱԿՈՎԱ ՏԱՅՈ-
ԳԱԳՈՋԵԲԱ, ԱՐԿՈՒՄՈԱ ԾԱՏԵՎՈՒԼՈՋԸ ՏԱ ՏԻՍՑ-
ՄԱ, ՎԵՎԵԼԱՑԵՐԸ ԳԱՄՐԳՈՋՈՍ ԴԱ ՐԱԼԱԿ ԱՖԱՄՈ-
ՆԵՐՐՈ ԳԱԺԱԱՐԻՆՈՇ ՏԵՂՆՇԻ ԾԱ ԿԵՏՈԼՈ ՅՈ-
ՒՔԻՐ ԱԼՇԴՐԱ ՏԵԽԵՑՑԻՇ, ՏԵՎՐԸ ՆՈՒՆՆԱՑՈ. ՄԱՄՈԱ
ԵՏ ԲԻՄԵՎՈՍ... ՄԱԳՐԱՄ ԻՍԵՎ ՏՈՒՄՊԱՅԱ, ԻՍԵՎ ՄԵ-
ԼՈՆԳՍ ԵՄԵՋԵՑՔԻ, ԵՃԼԱՑՔԺՈՇ ԾԱ ԵՐ. ՎԵՎ-
ԼԱՆՅԱՐԻ ՏԱՆՁՎՈՐԵՑՈ ՅՈՒԹՐՈՎԵԲԱ, ՏԱԱՐԵ-
ՑՈ ՏՈՎՐԱՑԵՑՈՒ... ՄԱԳՐԱՄ մԱՑՄՈՒԼՈՋԸ ՄՈՒ-
ՆԿ ԱՄ ԵՔՏԻՐԵՄԱԼՄԱՆ ՑՈՐՈՋԵՑՔԻ ԳԱԺԱՐ-
ԻՔՆՈԱ. ԱԵԼԱ ՎԵՐ ՏԱԲԱՎԵՅՈՒ, ՏԱՎԵՑՈԱՆ ՐՈ-
ՄԱՆԵ, ՏԱԳԱՎ ԻՍԵՎ ՄԻՆԴԱ, ՄՈՆՏԱԳՐՏԵԽՈԼ-
ԵՑԵԼՍ ԴԱ ՏԵՎՐՈՅԱՏԱ ՄՈՎԱՅՄՈՐՏԵԽՈԼԾԵ. ԳԱ-
ՄՈՆՏԱԿՐԵՄԱԴ ՄԻՆԱՋ ՄԱՑԵՎՏ ՏԱԻՆՑԵՐԵՄ ՏԱ ՏԱ-
ՎԵՅՈՒ, ՏԵԽԵՑՑԻ ՆՈՄՇԵՑՔԸ, ՐՈՄԼԵՑՔԻՇ ՄԳՐՆՈԱ,
ՐՈՄ ՄԵՎԱՐ, ԲԻՄԵՎՈԱ ԴԱ ՄԵԿՈԾԵՑՔԸ, ԵՐՏ ԿՐ-
ԵՑՑՈՒԼԱՋ ՏԵՎՏԱՎԱՑԻ ՄԿՅՈՒԹԵՎԵԼԸ, ՅՈՒԳԻ ՐԱ-
ՄԵԿ ԴԱՄԱԳԵՑՔՄԱՅ ԻԿԵՆԵՑ ԾԱ ԱՏԵ...

— თთქმის ყოველ წელს გამოდის თქვენი ახალი წიგნი, საბაკშვილ თუ საფილო. ორიგინალური თუ თარგმნილი ლიტერატურა. რით კვებება თქვენი მწერლობა, ბავშვებისთვის თუ უფროსებისთვის სათქმელი საიდან მოდის?

— როცა წიგნების გამოუცემლობაზე ვწუნებ, უკირთ, ამდენი გამოცემის ავტორს რაღა წიგნი გინდაო. არადა, უკვე 8 წელია, საბავშვო ლექსების კრებული ვერ გამოიტიცია, ესაა ჩემთვის უძიდესი ტკიკილიც, პასუხაუცემელი კითხვაც და უსამართლობაც. სხვას შეიძლება, გაეცინოს, მაგრამ მე განვიცდა. კარგი მოყირნახული გლეხივთ, ყველაფერს ვაპინავებ და მერე ახალი იწყება და როცა ეს „დაბინავება-დაწიგნება“ არ ხერხდება, მანდ „ლიტ-რომბივით“ მემართება. მეშლება ხელი და რაა უნდა თავისება. მოვინაყოთო, მისა


მარიამ წიკლაუნი

ԲՅՈՒՆ ՎԵՐԱ

ნარმატების მიღწევა უფრო იოლად შეიძლება, ვიდრე განათლებისა და შემცნებების რთული და მშვენიერი გზაა. სადიდო სანერს კი რა გამოლევს, როცა ამდენი საფიქრალი, მოუგვარებელი, გადაუჭრელ პრობლემაა, როცა ქეყანასაც უჭირს, როცა ოკუპირებული ხარ, როცა გრტყივა, როცა გამოუგვალ სიტუაციაში ხარ, ირთვება სიტყვიერებად სუბლიმაციის მექანიზმი პოეზია ტკიფოლის ენაა...

— მიუხედავად იმისა, რომ დღემდე
წერთ და აქვეყნებთ ლექსებს და თავი
დროზე სწორედ როგორც პოეტი ქალიგა
გიცნოთ მკითხველმა, თქვენ თავად რად
ალიქვამთ თავს — პოეტ ქალად თუ სა
ბავშვო აუტორად?

— როცა რას ვწერ, ის ვარ. არც მეტა
და არც ნაკლები. მიწევს წერა, შრომა ყვე



၃၁၉

მეცნიერება

პოვინა

60

— როგორ თანაცხოვრობს ერთმანეთთან პოეტი ქალი და საბავშვო მწერალი?

— ար յշլունան եցլս, մեցօճքրոնքն դ
աձալանքեցն զ ուգեց ըրտմանցետս. Ի՞մ ար
զոյսը դամոցուցեցն լունո և սեցեծից անց գամոմ
ցըթլուցից, նշնուց ցաւուլունոտ մելու մըյէ
նեծոնք, տայմշա ար ոյցոյրոտ, Ի՞մ նոցնու
ողքնոնք հիբու տայումունանու. Ժղաց ցոց ուց
եցձագ մայզը տուոտ լցէսու և ալովսա նոցնեցն
ան პատարա ზօմուս լցէսէծուն կըրեծուլցեծո
տյեմացոյրու սածացվշուն նոցնեցն... անց ար վուց
լու տայս հրալունչեցն աշտորագ, րագցա
մներալու, մասենունցուու, սրուլունաց դամոց
ուցեցն լունու հրյուսորնչեց անց գամոմցըմը
լունչ. ցամոմցըմը լուն սննդա ուցնեցն լցուս և սեռու
րագ շենս շեսակցունոնքան. հիբու մըրացալ
րուցեօցան ցամոմցըմլունքն անց պալունաց
մագլունու զար, մացրամ զոնացրեծու, ցա
մոմցըմլոնքա մտալունց տայսու աշտորագ
ցամոմցըմլունու տայլմու աշտորուս կըրմէր
ցոյլոնքան կըրմէր ուղենու գանսա ծխըրաց
նաշան բամուն մասաւամ շայուն ունաս Ի՞մ

ეფიციენტს ზოგჯერ განსაზღვრავს ათას-
გვარი არალიტერატურული ამბები... ვერ
ვიტყვი, რომ მე ან უცნობი ან შეუმდგარი
ავტორი ვარ, ან მეითხველი არ მენდობა,
მაგრამ ბევრ რამეს ვერ ვახერხებ მაინც,
მრჩება გამოუცემელი მასალა, რომელსაც
აქვს სრული უფლება წიგნად იქცეს. ამ
მასალას, ინტერნეტის მეშვეობით, ნაწი-
ლობრივ მანიც იყენებენ სკოლები, საგან-
მანათლებლი პროგრამები, სახელმძღვ-
ანელოები, მშობლები, მასწავლებლები, მა-
გრამ წიგნი სხვაა და ავტორიც წიგნიდან
წიგნამდე უნდა აინტერესებდეს გამომცე-
მელსაც და ისე არ უნდა მოექცეს, რომ ხან
კონკურსზე წიგნის წარდგენა და ხან პრო-
გრამებში ჩართვა „დაავინყდეს“ და ასე
შემდეგ. წიგნის წარმატება დამკიდებულია
სწორედ ავტორის და გამომცემლობის
შეთანხმებულ, კარგ მარკეტინგულ მუ-
შაობაზე, გინდ საბავშვო იყავი, გინდ სა-
დიდო და გინდ, ორივე ერთდროულად!

— ცოტა ხნის წინ თქვენ გადმოვეცათ
იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია
საბავშვო ლიტერატურაში განეული ლვა-
ნლისთვის. ძალიან მნიშვნელოვანი ჯი-
ოლობა


— ჯილდო მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია.

— ჯალილი თავის უკანონო და სამართლის სახელთან
ლოვანია. თავად გოგებაშილის სახელთან
საქართველოში ბევრი მედალი და ჯილ-
დო და კავშირებული. ის იმ რანგის მოღ-
ვანე და მამულიშვილი, მწერალი და პედა-
გოგი გახლდათ, რომ მონიცებას და პა-
ტივისცემას იმსახურებს და მარად ასე
იქნება საქართველოში. როცა პრემიის შე-
ქმნისა და დაფუძნებისთვის გზრუნვადით,
ვერც წარმომედგინა, რომ ამ ჯილდოს
ღვაწლისათვის მივიღებდი ოდესმე. ჩემთ-
ვის ეს ჯილდოზე მეტად პასუხისმგებლო-
ბაა. თუმცა სხვადასხვა წელს განსხვავე-
ბულ ნომინაციებში მიმიღია ეს პრემია: პოეზიის, საბავშვო-საყმანვილო ინოვაცი-
ური პროექტის, შემეცნებითი-საგანმანა-
თლებლო წიგნის ნომინაციებში გამიმარ-
ჯვია. ღვაწლისთვის ჯილდოს მიღება მარ-
თლაც მნიშვნელოვანია და გარკვეული-
ლად მოულოდნელიც. მადლობა მინდა
გადავუხადო ჩემს წარმდგენს ამ ნომინა-
ციებში, გამომცემლობა „პეგასს“, მარინა
ცხადაისა და გიორგი კაკაბაძეს. ადრე,
წლების წინაც მათ წარმადგინეს „გალაზე“,
სადაც „თეთრმა ხბორებმა“ წლის წიგნის
ნომინაციაში გაიმარჯვა და პირველი სე-
რიოზული ლიტერატურული ჯილდო მო-
მენიჭა. მაგრამ ჯილდოც პირობითობაა,
ნამდვილი ჯილდო მეტიხველის დიდი სიყ-
არულია — უმართოსია ღილობობა შორის!

— გაიხსენოთ, როგორდა იმპერატორი! უკანლესი ჯილდოვაზე დაიწყეთ ან რა-
ტომ დაიწყეთ ბავშვების სოფის ნერა. უნი-
ვერსიტეტში ქიმიურ ფაკულტეტზე ჩაა-
ბაროთ თუ რა მოხარა შემოვა?

— სულ სხვაგანა ვაპირებდი სწავლის
გაგრძელებას, სხვა პროფესიის დაუფლე-
ბას, მაგრამ ასე მოწყნო. ბავშვებისათვის
წერა ჩემი შვილების გრინის შემდეგ დავი-
წყე. მძიმე ნლები იყო, თბილისის სამოქა-
ლაქო ომის შემდგომი პერიოდი, სახლში
გამოკეტილები ვიყვაით. სადარბაზოს ბავ-
შვებისთვის ვატარებდი საკვირაო სკოლის
მსგავს გაკვეთილებს, ვუკითხავდი წიგნებს
შვილებს და შვილების მეგობრებს, ვადგ-
მევინებდი სპექტაკლებს. სხვა გზაუბრალ-
ოდ არ იყო. გარკეულწილად ამან მიმიყ-
ვანა საბავშვო მწერლობასთან. ერთხელ
ერთმა მიწოდოს: პატიმა პატო მონარეა

საახალლო სპექტაკლზე, სახლში რომ გავმართეთ. ბაძუდა აღმოჩნდა რეჟისორი და მსახიობი, ნელი ქუთათელაძე. რომელთანაც შემდეგ დავმეგობრდ და რომელსაც დიდი როლი აქვს ჩემს ბიოგრაფიაში. ის აღმოჩნდა ქეთევან ჭილაშვილის, ცნობილი საბავშვო მწერლის, მეგობარი. გამაცნო, წარმადგინა ქეთევანთან, ქეთევანის მეშვეობით აღმოჩნდა მწერალთა კავშირში, „ძია შიოს დარბაზის“ სტუმრად. იდგა 1997 წელი, პირველი ივნისი. იქ ჩემი პირველი შეხეედრი გაიმართა საბავშვო მწერლებთან. ჩემს პიესებს იმშანად — და ახლაც ასეა — დგამდა ზეინაპ დვალიშვილი, ჩემი დეიდაშვილი, პროფესიონალი მსახიობი. ის სხვადასხვა სკოლაში მუშაობდა მეტყველების პედაგოგად, მასზე მისი დადგმული ერთ-ერთი პიესა ეკოლოგიური სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით წარვადგინეთ. ეს იყო დიდი მოვლენა ჩემს ცხოვრებაში. წარმოდგენას ესწრებოდნენ ქეთევან ჭილაშვილი, გივი ჭიჭინაძე, დოდო ხიმშიაშვილი, ნინო ბეზარაშვილი, ნუნუ კერესელიშვი, გუგული ტოგონიძე, მზა ჩხეტიანი, ცირა ქიტიაშვილი, ნოდარ შამანაძე, შოთა ხოდა წნევლი და სხვები. ძალიან თბილად მიმიღეს. უურნალ „დილაში“ გამგზავნეს. აქტიურად დავიწყე ბეჭდვა. რაც კი რამ გამოდიოდა, საზოგადოებრივ-ლიტერატურული პერიოდიკა, ყველგან ვიბეჭდებოდა. მწერალი აკაკი გენწანე ამბობდა, თქვენ ჭურვით უცემ აფეთქდით ლიტერატურაში. გამიმართლა, რომ მქონ



— ჩემი ბაგშვილის წიგნებიდან კარგად
მახსოვეს ემოციები, რითაც ვეკითხულობდა
მათ. მახსოვეს „შვლის ნუკრის ნაამბობის“
ან „თინას ლეგურის“ ცრემლები, „ბიძის
თომას ქოხის“ ბურთები ყელში, „იყალთოვე
ლი ბიჭების“ სიხარული, „უფლისსნულისა
და მათხოვარის“ შთაბეჭდილებები. განსა
კუთრებით მიყყარდა „პატარა უფლისსნუ
ლი“ — ანდამატი ჰექნდა, რითაც მიზიდა
ვდა, თორებ ჩვენში რომ დარჩეს, სულაც
არაა ტიპური საბავშვო წიგნი. ასტრიდ ლი
ნდგრენი კი, ცოტა დიდი ვიყავი, როცა
ითარგმნა და მოყვიდა ჩვენთან პეპითა და
კარლსონით. ჩემს ბავშვობაში არსებობდა
თხელი, სკრეპიანი წიგნები, ზღაპრები, მა
გალითად, სხვადასხვა ხალხების ფოლკლ
ორი. ზღაპარი შეუცვლელი მასალაა ბავშვ
ვისთვის. მქონდა „ხალხური სიკრძნის“ სამ
ტომი, რომელიც ზეპირად ვიცოდი. დღემ
დე ვრჩები საბავშვო წიგნების მკითხველად
და ბევრი კარგი რამ დიდობაში წავიკითხე
ბავშვობიდან მახსოვეს ნახატებიანი წიგნე
ბი, მაგალითად, შარლ პეროს ილუსტრირ
ებული ზღაპრები, მახსოვეს „თოვლის დედ
ოფალი“ და განსაკუთრებულად შთამბეჭდ
დავი „სამოთხის ჩიტები“ — შეგ საოცრებე
ბი ეხატა. მაშინ ძვირი არ ღირდა წიგნი და
უამრავი გამოცემა გვექნდა ბავშვებს ოდ
ნავ ხეშემი ფურცლით, რომელიც არც ძუ

— როგორია კარგი საბავშვო წიგნი
როგორია ბავშვებისთვის წერა?

— კარგის საბაკეტო წიგნებია, მაგალითად, „ივანანამ რა ჰქემა“, „ყაჩალის ასული რონია“, „ჰაიდი“, „პინკიონ“, „გიკეგო“, „შები ლომგულები“, „მანანნალა რასმუსი“ — ყველა ასაკის ადამიანისთვის საკითხავი, სიყვარულის ჩამთესი, სევდიანიც და სადღესასწაულოც ერთდღოულად, დიდებული სიუჟეტებით, ამბით საკენი. აი, ეს „ამბავი“ არის თხრობისა და დიდი წიგნების მატიკი. ამბავი — აი, რა აინტერესებს მეთხველ ბავშვს. წარმოიდგინეთ კარგი ზღაპრები, როგორი სიუჟეტები აქვს მათ, კარგი თავგადასავლები, რომლებიც და ჩემი კლასელები ვაბბობდით, რომ გამომიყებლები უნდა გავგმხდარიყავით. ძალია მიყვარდა შალვა ცხადაძის ნახატებიან წიგნებიც. მერეც, როცა „პოლისა და ვირჯინის“ ნაკითხვა შევიძელი ან სხვა წიგნებისა, თუნდაც ჯეკ ლონდონის, მაინც ბავშვი ვიყიდავი. მიტაცებდა ისტორიული რომანები. სულერთი იყო, რას ვკითხულობდი — „ტენირტიტლანის დაცემას“, „ჰავაის ბულბულს“ თუ პარმენ ლორიას აჭარელთა ამბებს, თავად კითხვა იყო აუცილებელი მოთხოვნა... მთავარი ამ ჩვევის გაჩენაა!

— „ჩემი აფრიკული ბებია“ თქვენი სასაცხოვო მწერლობის ერთ-ერთი კულმინაცია დაგონია. ისეთი წიგნია, შიგნით რომ მოგინდება ყოფნა, იქაური ცხოვრებით ცხოვრება. როგორ დაიხერა ეს წიგნი?

— არ ვითავემდაბლებ, ძალიან მიყვარა
ეს წიგნი. ბავშვები უკვე მთხოვენ გაგრძელებას. მხატვარიც კარგი ჰყავს, ირინ ცინცაძე, და გამომცემლობამაც კარგ სერიაში გაამწესა. მე მგონი, ეს წიგნის გამარჯვებაა. კარგი გამოხმაურებებიც ჰქონდა, რეცენზიები, წერილები. ეს წიგნი ცოტა უცნოურად დაიხსრო: დაიწყო, მერე გაჩერდა, მერე დაიკარგა ფაილები, წლებით მერე ვიპოვე, სასწრაფოდ დავწერე, რადგან თავში მოთლიანად მქონდა მოხარშული სიუჟეტი და სამოვნებით ვწერდა. სულ მის ნდოდა თავებიანი რომანი, მოსათხრობები წიგნები მომესინჯა, დამეწერა. პროზას გა

— შემდეგ დაიბეჭდა „ჩვენი სახლი“.

— ამ წიგნის ილუსტრატორია ნანულ
ბურდული, მას ჩემი რამდენიმე წიგნი აქვა
დახატული. კარგი გამოცემაა, მაგრამ მე
ქსების კრებულით, რომ ამბობენ, არა
სწორი, ესაა ლექსით, პოზიტის ენით მოთხე
რობილი ერთი ოჯახის ამბავი უცნაურ
პერსონაჟებით. ამ წიგნის იდეა კარგა ხნი
წინ მქონდა, ამიტომ იოლად დაიწერა დ
ეს ნაწერსაც ეტყობა. მიზნად მქონდა პოე
ზიისკენ, ლექსისკენ მოპრუნება, მასზავ
ლებელს შეუძლია ამ ტექსტით ბევრი აქტი
ვობა განახორციელოს. ხალისიანი წიგნია
მთავარია, არ დავიჯეროთ, რომ ლექსებ
აღარ გვიყვარს ადამიანებს. ვიტყოდა, რო
კარგი და ორიგინალური წიგნია, მაგრა
იქნება გატყუებთ? ხომ სჯობს, თავად შეაფ
ასოთ?

— ქართულ საბავშვო-სალიტერატურო სიცრცეს იაპონელი პოეტიც შემოამატეთ.

— ზოგჯერ საჩუქრებიც ცვივა ხოლმა ციდან. ეს პოეტიც ნლევანდელი შობა დღის საჩუქარი იყო ჩემთვის, ლიტერატორ ნანა კუციას მიერ მორთმეული. ნანას სურნელი იყო, მეთარგმნა მისუძუ კანეკოს პოეზია, მართლაც გასაოცარი სიღრმისა და ჰუმანიზმის, სამყაროს უკიდევანო სიყვარულისა და სევდის პოეზია. ყველაფერ ზღაპრულად აეწყო და აი, სულ ახლახა გამოიცა ორენოვანი, ქართულ-იაპონურ წიგნიც, „მისუძუ კანეკო. დაკარგული ლექსები“, რომელმაც დიდი ბეჭდიერება და შემოქმედებითი სიხარული მაჩუქა. პირველივე თარგმანების სოციალურ ქსელში გამოქვეყნებისთანავე დამიკავშირდა მანანა კარტოზია და წიგნის გამოცემა შემომთავაზა. ამ წიგნს ყველა უნდა იცნობდეს, ხედვის კუთხის სიახლის გამო თუნდა დაც. წიგნის კონსულტაციურ-რედაქტორმა ენათმეცნიერმა და მთარგმნელმა იასუპიც რო კოჯიმამ, ეს წიგნები პოეტის სამშობლოშიც ჩაიტანა. იაპონიის ელჩიც გვესატუმრა წარდგენაზე. ეს უკვე დიდი პატივისცემის გამოხატულება იყო ქართველებისა და საკუთარი კულტურისადმი ასეთივე საჩუქარი გამოდგა გასულ წელ „საბას“ შიორტლისტში დასახელებული იოპან ლუდვიგ რუნებერგის „მედროშე სტოლის ნამპობი“ — თარგმანი, რომელმაც დიდი გამოცდილება შემძინა, ფინელი მწერლის 35 ბალადა ერთ წიგნად, ჰეროიკული პოემა ან თუნდაც ბერძენი პოეტის კონსტანტინოს კავალეირისის ქართულად გა

მოცემულ სრულ ორგომეულში ჩემი თა-
რგმნილი 80 ლექსი და სხვაც... ცხადია. დიდი მაღლობა პნკარედების დედნებიდან
მთარგმნელებს.

— დაბოლოს, პოეზია დიდების სთვის.
კარგად მახსოვს ოქვენი „თეთრი ხბორები“, „მზის დაუჯდომელი“, „დაჯერებისთვის“, „ქუჩის გადაჭრა“, „რისკუჯუფი“... მითხარით, ოქვენთვის პოეზია რა არის?

— 1997 წლიდან გამოვცემ წიგნებს, საბავშვოებსაც, სადიდოებსაც, პროზასასაც პოეზიასაც, თარგმანებსაც. მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ჩემი წიგნი ჯერ კიდევ დასაწერი მაქვს. შევძლებ თუ ვერა, არავინ ვიცით, მაგრამ ის დასაწერი ბევრად მაინტერესებს, ვიდრე დაწერილი. ეს არ წინავს დაწერილის მიმართ უპასუხისმგებლობს. ცხადია, ვაცნობიერებ, რომ ჩემი ერთი წიგნისათვის მოყრილი ხის შრიალი უფრო სასარგებლო იქნებოდა სამყარო-სთვის, მაგრამ რადგანაც ასეა აწყობილი ცხოვრება, თავს იმითღა ვიმიტებებ, რომ დღეს ქალალდის წარმოება შეიძლება მეორადი ტანსაცმლის ძონების, ნამჯისა და ათასირამის გადამუშავებით და სულაც არაა აუცილებელი ჩემს ლიტერატურულ ამბიციებს მოშრიალე ხეები შევნირო.

რისი თქმა მინდა? იმისა, რასაც ვამბობ
ან ვერც ვამბოძ... მე მიყვარს სიცოცხლე,
მიყვარს ადამიანი, სინათლე და მინდა, მის
მხარეზე დავდგი; მინდა, გადარჩეს ყვე-
ლაფერი, რაც ძირიფასია. მინდა, რწმენა
ჰქონდეს ადამიანს, იმედი ჰქონდეს, სა-
სონარკვეთილებას ნუგეში მოექებნოს. სი-
ცოცხლე შეერი რამაც ერთად და ადამი-

ანი კი მანქანა არაა, მექანიკურად იცხოვ-როს. მას უნდა ჰქონდეს ცხოველმყოფელი, ცოცხალი ნერვი, რომელიც სიხარულსაც უყოფა, ტკივილსაც; მარტოობასაც და თან სულ ღვთისმაძიებელი იქნება. აი, ეს ღვთი-სმაძიებლობის მისტიკაა ადამიანის ცხოვ-რების არსი. სიყვარულის ჭურჭელი უნდა იყოს, სამშობლოს და მშობლიური ენის სიღრმეს უნდა ატარებდეს თავის თავში. პოეზია ეს უპირველესად ენის თვისებაა. ეს სიტყვიერების შესაძლებლობაა. უთვა-ლავი შანსის გამოვლენას ახერხებს ენა პოეზიაში. ხან რელიგია მეგონა პოეზია, ხან სიტყვებით უონგლიორობა, ზოგჯერ შთაგონებითი მისტიკა, ზოგჯერ ყოვლის-მომცველი სამყაროს შემეცნებისა და ჭვრ-ეტის გზა, ხანაც „სიბრძნის დარგი“, ხან რა და ხან რა. მგონი, ყველაფერი ერთადაა. გარკვეული ფილოსოფია და საუბრის უნ-არია არახილულთან, საკუთარ თავთანაც. პოეზიის ენა ყველაფერს ჰყოფნის, არ არ-სებობს მოვლენა ადამიანის თუ კაცობრი-ობის ისტორიაში, პოეზიის ენით არ გამოთქმულიყო. ანუ ენის თვისებაცაა პოეზია. ფიქრის, ჭვრეტის კალაპოტიცაა, მაგრამ მაინც პოეზია ისაა, რაც არ იწერება და რაც სტრიქონებს შორის იხატება, იგულისხმება. აი, ეს უხილავი უსიტყვო სა-მყაროა ნამდვილი პოეზია, ეს ნაცულისხ-მევობა, თქმულისა და გამოუტემელის უხ-ილავი უჯრედშორისი, უამთა უჯრედშო-რისიც, იქნებ დაუსაბამო ვარსკვლავეთის უჯრედშორისიც, რომელიც აქ, ადამიანის ამ პატარა გულში ეტივდა.

ესაუბრა თამარ ჟურნალი

ՕԱՀԹԵՇԽՈ ԵՎԾ

მისურა კანიკო

CEZANNE

თეონა გოგილავა

ინდივიდუალური
სასიათები,
რომანტიზაცული სახეობი,
ორიგინალური სათქმელი...

გურამ პეტრიაშვილი

პატარა ქალაქის გლობუსი



ნინო ჩაგვეტაძის ილუსტრაციები

გურამ პეტრიაშვილის ზღაპრებში ინდივიდუალიზმი აშკარავდება ლამის პოეზიამდე აყვანილ თხრობის მანერაში, პერსონაჟთა სახეებში და ორიგინალურ სათქმეებში. გურამ პეტრიაშვილის ზღაპრების სათქმელი უკავშირდება ადამიანის ცხოვრების აზრს, ოცნებას, შესაძლებლობებს, მნიშვნელოვანი ღირებულებების აღმოჩენას.

ქართულ ხალხურ ზღლაპრებში თხრობა
ამ ფრაზით იწყება — იყო და არა იყო რა.
ამ დასასწისს მკითხველი თავიდანვე გადა-
ჰყავს ზღლაპრის ჯადოსნურ სამყაროში,
ხოლო ზღლაპრის დასასრული — ჭირი იქა,
ლენინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა — აპრუ-
ნებს მკითხველს რეალობაში. ჯადოსნურ
ზღლაპრებში ყველაფერი „იქ“ ხდება. ეს მი-
ლიმიტი სამყაროა, რომელშიც ჯადოს-




ფორმა, რომელშიც ეს სათქმელ-შინაარსი
რეალიზდება, კიდევ უფრო მეტად შთამ-
ბეჭდავია. შეიძლება ითქვას, რომ გურამ
პეტრიაშვილის ზღაპრები არის პოეზიის
სიმაღლემდე აყვანილი თხრობის ტექნი-
კით გამორჩეული საოცარი ამბები.

ლიტერატურული ზღაპრების მკითხველთა ასაკობრივი კატეგორია განსაზღვრული არ არის. მართალია, აქ ჯადოსნური ამბები ხდება, რაც მიმზიდველს ხდის მას პატარებისთვის, მაგრამ ზღაპრის ქვეტექსტი შეიძლება იყოს ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური. შესაბამისად, ლიტერატურულ ზღაპრებს მოზრდილი მკითხველებიც ჰყავს. გურამ პეტრიშვილის ზღაპრებში შემდეგი ფსიქოლოგიური საკითხი არის წამყვანი — ჩვენი შესაძლებლობები და სურვილების შესრულება პირდაპირ-პროპორციულია ამ შესაძლებლობების რჩევისა. აქ ვერსონაჟები შეუძლებელს შეძლებებს მაშინ, როცა ამის თვითონ და გარშემოყოფებს სჯერათ.

გარდა ამისა, ამ ზღაპრებში ხშირია ცხოვრების საზრისის ძიება, ეგზისტენციალური ჩაფიქრება. ამ თემას შეეხება ზღაპარი „ხელმწიფუ“: პერსონაჟის მოწყვენა ერთფუროვანი ყოფით არის განპირობებული. იმის გაზრდებითაც, რომ ხელმწიფუს გვირგვინი და მარმარილოს სასახლე არ არის ბეჭნიერების საზომი და გარანტი. ველზე ყვავილთა შორის მოფარფატე პეპელა შეიძლება უფრო ბეჭნიერი იყოს მარმარილოს კედლებში გამოეკტილ მეფეზე. ეს და ლიტერატურულ გავრცელებულ თემა-მოტივთა შორის ბევრი რამ შეგხვდებათ ლიტერატურულ ზღაპრებში.

გარეკეული პერიოდის განმავლობაში ლიტერატურული ზღაპარი ასახვდა იმ ეპოქის სატიკივარს თუ სათქმელს, რომელშიც იწერებოდა. დროთა განმავლობაში ამ ჟანრის შესაძლებლობები გაფართოვდა. გურამ პეტრიაშვილის ზღაპრების თემატიკაც არა ვინწრო ეროვნულია, არამედ ზოგადადამიანური საფიქრალითაა სავსე.



ଲୋକପାତ୍ରଙ୍ଗଣୀ ପଦ୍ମଚନ୍ଦ୍ର

საქართველოს კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალობა სახლ

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილ
უურნალისტი თამარ უურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940

